# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 21 ივნისი, 2011 წელი.

№114 (6725)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


„რვიანში“ შემავალ ზოგიერთ სუბიექტს ნერვებმა უმტყუნა 5

საქართველოში ტოტალური სიცრუის აურა ტრიალებს... 3

შეურაცხყოფილი ქალები დანებებას არ აპირებენ 2

„ქალოვანები ყოველგვარ ადამიანურ ზღვარს გადასცდნენ“

ქაღალდი მართლაც ყველაფერს იტანს?

## სამწუხაროა, ბატონო გელა ზედელაშვილო, ძალიან სამწუხაროა!..



პირდაპირ უნდა გითხრათ, მიუკიბ-მოუკიბავად, რომ ნამდვილად გაგვაოცა თქვენმა აშკარად უზრდელურმა და თავხედურმა პასუხმა ჩვენი დიდი მამულიშვილის, ჭეშმარიტად დიდი შემოქმედის მერაბ ბერძენიშვილისადმი, რომელმაც ამჟერად არ ისურვა „ქრონიკასთან“ გასაუბრება, რამაც თქვენ „თავმოყვარეობა შეგილახათ“.

ვერ წარმოვიდგენდით, თუ ბევრ უზნეობასთან ერთად ასეთი დონის ცილისმწამებლობაც გჩვეოდათ. თურმე ყველაზე მეტად იმან გაგაკვირვათ, რომ ასეთი განცხადება (ლაპარაკია მერაბ ბერძენიშვილის ღია წერილზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ჯონ ბასის მიმართ! გაკეთდა **„ისეთი ადამიანისგან, რომელიც ხმას არასოდეს იღებს“**, რომელიც კი არ წერს, არამედ **„რაღაცას ჩხაპნის“** (ის ჩინებული პუბლიცისტიც არის, ნუ დაგავიწყდებათ, და არასოდეს არ დუმს!, რომელიც **„ზემოდან იყურება, როგორც მიუწვდომელი უფალი“** (თითქოს მისაწვდომი უფალიც არსებობდეს!), რომელიც **„უმადური კაცი ბრძანდება“** (ახლა დავრწმუნდით!), რომელსაც **„ცოტა დაბლა ჩაჩოჩებას“** ურჩევთ, რათა „კარგად გაიხსენოს, როგორ იყო **„ჩახუტებული მოღალატე შევარდნაძესთან“** და როგორ **„იღებდა ლენინის ორდენებს“**, რასაც ამაზრზენი მუქარაც კი მოსდევს თქვენი მხრიდან: **„რა გინდათ, ბოლო ბოლო, ყველაფერი ვთქვა?“** (ნამდვილად სასაცილოა, მაინც რა უნდა თქვათ მერაბ ბერძენიშვილზე? რით აშინებთ?!). და, ბოლოს, ერთდროულად უვიცობისა და თავხედობის ევერესტიდან ეკითხებით: **„დავიჯერო, ისეთივე აზროვნება გაქვთ, როგორც ზოგიერთ ტვინგადატრიალებულს?“**

რაც შეეხება თქვენს ამ შემაზრზენ ფრაზას, „ქრონიკის“ მკითხველი, იმედია, უმალ მიხვდება, რომ ასეთი რამის დაწერა ბატონ მერაბ ბერძენიშვილის მიმართ მართლაც მხოლოდ ტვინგადაბრუნებულ ადამიანს შეუძლია!

ადრესატის მაგივრად ჩვენ კი იმიტომ გაგეცით ეს მცირე პასუხი, ბატონო გელა ზედელაშვილო, რაკი თავიდანვე ატყუებთ „ქრონიკის“ მკითხველს: **„15 ივნისს საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობილი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის განცხადებაო“**.

ქრონიკელო კოლეგავ!
აგრერიგად რამ გაგიწყვდიადა ეგ ისედაც ლატაკი ცნობიერება?!.
ნუთუ მართლა არ გესმის,
ვინ არის მერაბ ბერძენიშვილი?!

15 ივნისს ბატონ მერაბის განცხადება საინფორმაციო სააგენტოებმა კი არ გაავრცელეს, არამედ ექსკლუზიურად დაბეჭდა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“. თქვენ, უბრალოდ, კოლეგიალობაც არ გეხერხებათ. მხოლოდ ცილისწამებით, თავხედობითა და უზრდელობით ცდილობთ **„ახალი სახის ჟურნალისტიკის“** დამკვიდრებას.

დასასრულ, თქვენივე წერილის ქვესათაურს გადავაკეთებთ: **„სამწუხაროა, ბატონო გელა ზედელაშვილო, ძალიან სამწუხაროა“** პატარა კალმის დიდი ბოროტებისთვის გამოყენება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის რედაქცია“



თეოლოგიური ომი 8

ილია მეორე:

სომხებს საქართველოში ახალი ტაძრების აშენება სურთ!

3 სომხური მხარისთვის საქართველოს საპატრიარქოს მიერ შეთავაზებული კომუნიკეს ტექსტი მიუღებელი აღმოჩნდა

სასურსათო პროდუქტებზე ფასები კვლავ გაიზრდება 7


9 მასხარას თავგადასავალი


2 არ დაგავიწყდეთ ლუქას მამანი!


6 მთელი ცხოვრება – სამშობლოს სამსახურში!..


10 ჰოდა, ჩვენ ვცოცხლობთ!..

## დედების აქცია

**26 მაისის მოვლენების გამო გაბრაზებული, შეურაცხყოფილი, სასოწარკვეთილი და დამცირებული ქალები ერთი კვირის თავზე პარლამენტის წინ აქციას დღეს კვლავ გამართავენ. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უწინდელ აქციაზე მიმართვის ტექსტი გაუგზავნეს ევროპულ სტრუქტურებს, საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საქართველოს პარლამენტს და მოსთხოვეს საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის 26 მაისის დარბევის დეტალებს. ისინი ითხოვენ კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს და მიეცეს ხელისუფლების ქმედებას არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მორალური შეფასება.**

# შეურაცხყოფილი ქალები დანებებას არ აპირებენ

### „ქალოვანები ყოველგვარ ადამიანურ ზღვარს გადასცდნენ“

გუშინ ამ საკითხის გამო „ქართული აკადემიის“ ოფისში აქციის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების ქალმა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი და საგანგებო ბრიფინგი გამართეს.

**ეკა ბესელია: „ჩვენ პარლამენტისგან პასუხს ვითხოვთ. ეს იყო ღირსების შემლახველი დარბევა, რომელიც უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. რამდენიმე ორგანიზაცია შემოგვიერთდა. ამიტომ პერმანენტულ აქციებს აუცილებლად გავაგრძელებთ. სხვათა შორის, ევროკავშირში დღეს, ამ წუთებში მიმდინარეობს 26 მაისის მოვლენის განხილვა. იქიდან დამიკავშირდნენ და შემპირდნენ, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილ თითოეულ ფაქტზე იმსჯელებენ.**

**გასულ კვირას სპეციალური წერილი გავუგზავნეთ პარლამენტის ვიცე-სპიკერს რუსუდან კერვალიშვილს და საგამოძიებო კომისიის შექმნა მოვითხოვეთ. როგორც მითხრეს, ქალბატონი რუსუდანი დაკავშირებია ნინელი ჭანკვეტაძეს და შეხვედრის სურვილი გამოუთქვამს. ვნახოთ, როგორი იქნება პარლამენტის პოზიცია“.**

არ ვიცი, რუსუდან კერვალიშვილი როგორ მოახერხებს ამ ქალბატონების დამშვიდებას, ვინაიდან საპარლამენტო უმრავლესობამ არაერთხელ დაადასტურა, რომ ისინი არანაირ გამოძიებას არ აპირებენ — მიტინგი დაარბიეს, იყო ძალის გადამეტებაც, მაგრამ ეს ღირდა სახელმწიფოს შენარჩუნებისთვის, — ამბობენ ისინი, ამდენად, რა პირობას დადებს ვიცე-სპიკერი, გაუგებარია.

ქალთა სამოქალაქო მოძრაობა „თამარიონი“ 26 მაისის შემდეგ შეიქმნა. მისი წევრის **აველინა დავითულიანის** თქმით, არავითარ შემთხვევაში არ აპირებენ ამ მოვლენის მივიწყებას: **„თუკი პრეტენზია გვაქვს დემოკრატიაზე, ასეთი ძალადობრივი ქმედება ხელისუფლებას არ უნდა შერჩეს. ეს იყო ქართველი ხალხის ტრაგედია და ეს ფაქტი აუცილებლად უნდა დავგმოთ. ბუნებრივია, ხელისუფლებას საგამოძიებო კომისიის შექმნის სურვილი არა აქვს, მაგრამ ჩვენ არ გავჩერდებით“.**

წინა აქციაზე ქალბატონებს პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ, მათთან იყო ნინო ბურჯანაძეც. როგორც ბრიფინგზე ითქვა, საზოგადოებამ ეს ფაქტი ისე აღიქვა, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები ნინო ბურჯანაძის მხარდასაჭერად მივიდნენ, რასაც კატეგორიულად უარყოფენ.

**მანანა ბიწაძე-მიძელაძე: „ბურჯანაძემ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს. მან უნდა თქვას თავისი სიტყვა... პოლიტიკოსებს აქციაზე მოსვლას არავინ უკრძალავს, მაგრამ ისინი დგანან ჩვენ გვერდით და არა პირიქით. ნინო ბურჯანაძესთან ღირებულებითი კონფლიქტი მაქვს და ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება რიგ საკითხებთან დაკავშირებით. ამდენად, ნამდვილად არა მაქვს სურვილი მის გვერდით მოვიაზრებოდე“.**

დღევანდელი აქციის შედეგის მიუხედავად, ქალები მოძრაობის გაძლიერებას გეგმავენ. 26 ივნისს, ერთი თვის თავზე დიდი კონფერენციის გამართვას აპირებენ, სადაც საჯაროდ განიხილავენ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ქმედებებს. ასევე მოაწყობენ მასშტაბურ ღონისძიებებს. რაც შეეხება მე-40 დღეს, კვლავ ღამის 12 საათზე პარლამენტთან შეიკრიბებიან და დაღუპულთა მოსაგონებლად და დაზარალებულთა პატივსაცემად მდუმარედ შეხვდებიან მომდევნო დღის გათენებას. ასევე შექმნილია სპეციალური ფონდი, სადაც დაშავებულთა და გარდაცვლილთა



ოჯახების დასახმარებლად ანგარიშია გახსნილი. სხვათა შორის, მონაზვნებს სურვილი გამოუთქვამთ, რომ მათი ნაკეთობები, ნაქარგები, ნაწერი ხატები გამოფინონ და გაყიდული ნივთებიდან შემოსული თანხა ფონდში გადარიცხონ.

**ქალები ბჭობენ, მსჯელობენ, ახალ-ახალ იდეებს იგონებენ და ასე ცდილობენ დავიწყებას გადაარჩინონ 26 მაისის ტრაგედია, რომლის მიფუჩეჩებასაც ხელისუფლება ცდილობს. „ძალოვანები გადასცდნენ ყოველგვარ ადამიანურ ზღვარს... ჩვენ კი იმ დედის შთამომავალნი ვართ, რომელსაც ბრძოლის ველზე 9 ვაჟკაცი დაეხოცა და თვითონ აიღო დროშა... ვალდებულნი ვართ, ახლა მებაირაღენი ჩვენ გავხდეთ“, — ამბობენ ისინი.**

**თეა მოსია**

## დღეს რუსთაველის თეატრში...

# არ დაგლეოდეთ ლექსის მადანი!

**ა, ბატონო, დიახაც საამაყო ფაქტი პოეტისთვის: რომ ვიფიქრე, მცირე ჩანახატით შევხმიანებოდი ჩვენი ძვირფასი რეზო ამაშუკელის დაბადების 75 წლისთავს, მისი ყველა ლექსის კრებული განათხოვრებული აღმოჩნდა. ერთი ნათესავს წაეღო, მეორე — მეგობარს, მესამე — მეზობელს... თანაც, ამ ბოლო ხანებშიო, მითხრეს ჩემიანებმა...**

რა გასაკვირია, „ამ ბოლო ხანებში“ განსაკუთრებით საინტერესო გახდა რეზო ამაშუკელის პიროვნება, მძაფრი და უკომპრომისო — მისი ყოველი სიტყვა — პოეტური (მარტო „სისხლში ჩამხრჩვალი ვარდები“ რად ღირს) თუ საგაზეთო ინტერვიუებში გაჟღერებული...



...არა უშავს, ვენდობი მეხსიერებას — ზეპირად ვიცი ბრწყინვალე ქართველი პოეტის რამდენიმე ლექსი და თუ საჭირო გახდა, მოვიხმობ კიდეც სტრიქონებს...

...იგი 75 წლისაა, ეს კი, მოგეხსენებათ, არც მეტი, არც ნაკლები, სიბერის ასაკია... ვინც ბატონ რეზოს კარგად იცნობს, ვისაც მისი ახალგაზრდული სიკისკასე არაერთხელ უნახავს, ძნელია ამაშუკელის დაბერებაზე ლაპარაკი... გაუბედურებული სამშობლოს გამო უდიდესი სევდა-ნაღველის მატარებელი პოეტი, ცდილობს დაბერდეს ახალგაზრდად და სტრიქონიც ამაშუკეთში გამომწვარ თიხასავით უწკრიალებდეს...

...ჩვენი ნაცნობობა კი 51 წლის წინათ დაიწყო... რა დრო გასულა — ნახევარ საუკუნეზე მეტი!..

1960 წლის ზაფხულია, მე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტი, ულამაზესი, საოცნებო შენობის წინ, განიერ ტროტუარზე, უზარმაზარი ჭადრების ძირში ასეთ სცენას წავაწყდი: დგას მაღალ-მაღალი, ლამაზ-ლამაზი, ბაკენბარდებიანი ახალგაზრდა კაცი და, ალბათ, მეგობრებს, ცალხაზიანი რვეულის ფურცელზე ლამაზი კალიგრაფიით გამოყვანილ ლექსს უკითხავს. იქვე ვდგავარ და მესმის, რომ ლექსი ახლობლის გარდაცვალებას ეძღვნება.

მოგვიანებით ვიგებ, წინა დღეს გურამ რჩეულიშვილი დაღუპულიყო ზღვის ტალღებთან ჭიდილში...

წლებს წლები მისდევდა, ჩემმა პროფესიამ ბატონ რეზოსთანაც დამაახლოვა, თუმცა, უპირველესად, იგი ჩემთვის მახლობელი თავისი უნატიფესი ლირიკის გამო უფრო გახდა.

**თოვს, მარტმა ამინდი არია,**
**შენ ჰგავხარ ღვთისმშობელ მარიამს!**
**არ გინდა არცრა სამკაული,**
**გუნდა-ლახუსტაკი და უმარილი,**
**შენა ხარ პატარა სასწაული**
**ციდან ჩამოსული სტუმარივით.**

იგი ჭეშმარიტი პოეტი-ფერმწერია, მისი ლექსის ყოველი სტრიქონი ხელშესახები და საფერებელია: აბა, გავიხსენოთ „ყინწვისი“:

**მზე კი რიკოთით მიბრძანდება**
**მეწამულ შანდლით,**
**შეფაკლულ ნათლით დასალიერს**
**ღრუბლები იწვის...**
**ჩამუქებული ღამის ბინდით**
**იძინებს ქართლი,**
**და ანგელოსის ცისფერ კაბას**
**ვუკოცნი ყინწვისს!**

სადაც უნდა ყოფილიყო: მამლუქების სასაფლაოზე თუ ალექსანდრიის ქუჩაბანდებში, ანდა პარიზის ცის ქვეშ, როდესაც მისი ლექსი, შეიძლება თქმა, აღმოჩენა გახდა ფრანგი მსმენელისთვის, რეზო ამაშუკელი ქართველი რჩებოდა სულით ხორცამდე...

**მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი**
**სულს ჩემივე ჩუქურთმისას,**
**ვაზის ჯვარზე სხივს ვახვევდი**
**კაბადუკიელის თმისას,**
**საწნახელში ბიჭი იდგა**
**ვადას ჩაფრენილი ხმლისას,**
**აკვნიდან რომ არ ენახა**
**მშვიდად დაღამება დღისა.**

და ასე რამდენი...

და მერე, ვითომ, დამოუკიდებლობის, ვითომ, თავისუფლების წლები...

ისედაც ერთი ციცქნა მიწა-წყალი კიდევ უფრო დაპატარავებული... ისეთი ამბების შესწრება, რასაც ვერც წარმოიდგენდა... ყველაფერს შეჩვეული ქართველი კაცი — ერთ დროს ბოლნისის ლომების მთლელი — დღეს უმაქნისი ხელისუფლების ტაშის დამკვრელი...

**და აი, ჩვენი ახალგაზრდა, მაღალი, მარდი,**
**დაცვით, მედიით, მიკროფონით**
**და სიტყვით სხარტით...**
**დაჰქრის და ყვირის, რასაც უნდა,**
**რადგანაც გასდის...**
**ხალხს კი, ხალხს უკვე**
**დასანახად შესძულდა ვარდი!..**

თქვენზე, თქვენს პოეზიაზე, თქვენს ტკივილსა და სევდაზე დიდხანს შეიძლება საუბარი, ბატონო რეზო, იცოცხლეთ, არ დაგლეოდეთ ლექსის მადანი!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## დაუსრულებელი ჭიდაობა

# რუსეთის მსო-ში გაწევრება შესაძლოა, წლობით გაჭიანურდეს

**როგორც სააგენტო „პრაიმი“ იუწყება, ამის შესახებ პეტერბურგში გამართულ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ელვირა ნაბიულინამ განაცხადა.**

მისი თქმით, „მიმდინარე წლის ივლისის ბოლომდე პრინციპული მრავალმხრივი საკითხების გადაუჭრელობის შემთხვევაში, მსო-ში გაწევრება, შეიძლება წლობით გაიწელოს“.

მსგავსი განცხადება რუსეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა იგორ შუვალოვმაც გააკეთა. მისი აზრით, „თუ დარჩენილი საკითხები უახლოესი კვირების განმავლობაში არ გადაწყდება, რუსეთის მსო-ში გაწევრებაზე მოლაპარაკებები შესაძლოა, გაჭიანურდეს“.

„ჩვენ სამი ძირითადი საკითხი დაგვრჩა, რომელიც უახლოესი 3 კვირის მანძილზე უნდა გადავწყვიტოთ, თუ არადა შესაძლოა, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში გადაუწყვეტელი დარჩეს“, — განაცხადა შუვალოვმა და განმარტა, რომ საქმე ეხება რუსეთში მოქმედ მრეწველობის რეჟიმთან დაკავშირებულ საკითხებს, ხორცის იმპორტის კვოტებსა და ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ „რუსეთი მზადაა, მსო-ში 2011 წელს გაწევრდეს, თუ პოლიტიკური თამაშები არ დაიწყება“.

**ცნობისთვის, რუსეთი მსო-ში გაწვრებაზე მოლაპარაკებებს 1993 წლიდან აწარმოებს. 2010 წლის დეკემბერში რუ-**

სეთ-ევროკავშირის სამიტზე რუსეთის ეკონომიკის განვითარების მინისტრმა ელვირა ნაბიულინამ და ევროკომისარმა ვაჭრობის საკითხებში კარელ დე გიუხტმა მოლაპარაკებების დასრულების შესახებ მემორანდუმი გააფორმეს.

**ნინო ჩიჩუა,**
პირველი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

SIC!

# ილია მეორე: სომხებს საქართველოში ახალი ტაძრების აშენება სურთ!

**სომხებს საქართველოში ახალი სომხური ტაძრების აშენება სურთ. ამის შესახებ საკვირაო ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ განაცხადა.**

უწმინდესმა საქართველოში სრულიად სომეხთა კათოლიკოსის ვიზიტის შედეგები შეაჯამა და ის საკითხები დააკონკრეტა, რაზეც მათ შეხვედრაზე ისაუბრეს.

**„სომხებს აქვთ სურვილი, გახსნან კიდევ ტაძრები საქართველოში. ჩვენ შევთავაზეთ, რომ თუ საქართველოში გაიხსნება სომხური ტაძრები, სომხეთშიც აუცილებლად უნდა გაიხსნას ქართული ტაძრები. შევთანხმდით, რომ მომავალში უფრო კარგი თანამშრომლობა გვექნება“,** – ბრძანა უწმინდესმა.

მისივე თქმით, საქართველოს ეკლესია ღიაა ყველასთვის, მაგრამ ქართული ეკლესია არ დაუშვებს, რომ დაიჩაგროს ქართველი ერი და ქვეყანა.

**„გარეგინ II ახალგაზრდა ადამიანია და ალბათ ჯერ მეტი გამოცდილება სჭირდება. ჭკვიანი კაცია, მაგრამ უნდა ყველაფერი სასწრაფოდ გააკეთოს, რაც არ გამოდის. ვუთხარი, რომ მაქვს დიდი გამოცდილება, ამიტომ სიმშვიდე ყველაფერს სჯობს“,** – აღნიშნა ილია მეორემ.

დელიკატური საკითხი

# სომხური მხარისთვის საქართველოს საპატრიარქოს მიერ შეთავაზებული კომუნიკეს ტექსტი მიუღებელი აღმოჩნდა

**ამის შესახებ ეჩმიაძინის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ბაგრამ მელიქიანმა „მედიამაქსთან“ ინტერვიუში განაცხადა.**

მისივე თქმით, ეჩმიაძინი სრულიად სომეხთა კათოლიკოსის საქართველოში ვიზიტს დადებითად აფასებს.

**„ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც ჯავახეთის სომხებს კათოლიკოსთან შეხვედრის საშუალება ჰქონდათ. საბოლოო ჯამში, ამ ვიზიტს დადებითად ვაფასებთ, რამდენადაც მან საშუალება მოგვცა, საქართველოს პრეზიდენტის დონეზე დაგვეყენებინა ის პრობლემები, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და სომხურ ეპარქიას აქვს. საქმე**



**სამ ძირითად საკითხს ეხება. ესენია: სომხური ეკლესიისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭება, ეკლესიების დაბრუნების თემა და ასევე დანგრეული ტაძრების აღდგენისა და საბოლოო ჯამში, სომხური მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „შესაბამისი ზომები უკვე მიღებულია და წმინდა ადგილების შესანარჩუნებლად ყველაფერი გაკეთდება“,** – განაცხადა მელიქიანმა.

რაც შეეხება ერთობლივ კომუნიკეს, რომლის ტექსტიც სომხურ პრესაში გავრცელდა, მელიქიანმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში არანაირი დოკუმენტი მიღებული არ ყოფილა.

**„განხილვა იყო, თუმცა ფორმულირებებთან დაკავშირებით შეთანხმება მიღწეული არ იქნა. ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები და ხედვები არსებობდა. მხარეებმა ვერ მოახერხეს, ორივე მათგანისთვის მისაღები კონცეფციის ჩამოყალიბება, რაც ასევე დროის სიმცირითაც იყო გამოწვეული. ის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნდა, მართლაც ქართული მხარის მიერ შემოთავაზებული კომუნიკეს პროექტია, მაგრამ იგი სომხური მხარისთვის მიუღებელ ფორმულირებებს შეიცავს. ახლა ვცდილობთ გავარკვიოთ, როგორ მოხვდა ტექსტი მედიაში. ასევე არანაირი შეთანხმება არ მომხდარა ერთობლივი კომიისის შექმნის შესახებ. სომხური მხარის მიერ ტაძრების დაბრუნების შესახებ წამოწეული საკითხის საპასუხოდ ქართულმა მხარემ სომხეთის ჩრდილოეთში მდებარე ეკლესიებზე საკუთარი მოთხოვნები და პრეტენზიები წამოაყენა. სომხური ეკლესიის პოზიცია ნათელია: ქართულმა მხარემ ფაქტები და საბუთები უნდა წარმოადგინოს, რომელსაც სომხური ეკლესია შეისწავლის. თუმცაღა კომისიის შექმნის საჭიროებას ვერ ვხედავთ“,** – განაცხადა მელიქიანმა.

შეგახსენებთ, რომ სომხეთისა და საქართველოს ეკლესიების მეთაურების მიერ ერთობლივი კომუნიკეს მიღება სრულიად სომეხთა კათოლიკოსის გარეგინ მეორეს საქართველოში ვიზიტის ფარგლებში იგეგმებოდა. კომუნიკეს ტექსტში აღნიშნული იყო, რომ **„ორ ეკლესიას შორის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადადის, რაც საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა და სომხეთში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანასწორ იურიდიულ სტატუსს განსაზღვრას, ასევე პარიტეტულ საფუძვლებზე საქართველოში სომხური (გრიგორიანული) და სომხეთში ქართული (დიოფიზიტური) ეკლესიების გახსნის ხელშეწყობას გულისხმობს და ამ საკითხების გადაწყვეტის მიზნით საჭიროა, ორმხრივი ეკლესიათაშორისი კომისია შეიქმნას“.**

**ნინო ჩიჩუა,**
„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ



გვესაუბრება ზვიად გამსახურდიასდროინდელი უზენაესი საბჭოს წევრი ბატონი თემურ ქორიძე

# საქართველოში ტოტალური სიცრუის აურა ტრიალებს...

**– ბატონო თემურ, მოდით, ოპოზიციაზეც ვისაუბროთ, რომელთაც არანაირი პროგრამა არ აქვთ. ეს 26-მა მაისმაც დაამტკიცა. ისინი უკვე გაკოტრებული პოლიტიკოსები არიან, და არც ხალხი ენდობა...**

– 26-მა მაისმა ისიც დაამტკიცა, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში პოლიტიკურ სივრცეში უამრავი პარტია დამკვიდრდა. თურმე 217 პარტია არსებობს, რაც უკვე ცხადყოფს, რომ ამ მხრივაც არანორმალური ვითარებაა ჩვენში.

26 მაისს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული პოლიტიკური სივრცე დანაგვიანებულია, ძალიან ბევრი მტვერი და ანტისანიტარიაა, ყველაზე საშინელი კი სიცრუის მოზღვავებაა.

დააკვირდით, რა ხდება? საქართველოში ცრუობს ყველა (პოლიტიკოსებს ვგულისხმობ – დიდი თუ პატარა პარტია, მემარჯვენეები, მემარცხენეები, მთელ ქვეყანაში ტოტალური სიცრუის აურა ტრიალებს, სიცრუის, უპრინციპობის, ქედმაღლობის, ამპარტავნების, დაცემის, ღალატის ფეიერვერკია.

პოლიტიკოსებმა, რომლებიც საკუთარ თავს ლიდერებს უწოდებენ, დაიკავეს არა მარტო ჟურნალისტის, არამედ შოუმენის ადგილიც. ვისაც სიმღერა შეუძლია, მღერის, ვისაც – ცეკვა, ცეკვავს. პოლიტიკოსებმა არტისტული ბუნება გამოგვიმჟღავნეს. ჩვენ ვხედავთ, რომ მათ ვერანაირი მისია ვერ შეასრულეს. დადგა დრო, მწარე რეალობას თვალებში ჩახედონ და ასპარეზი დატოვონ.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ელიტა აღარ გვყავს, რაც დიდი დარტყმაა ქართველი საზოგადოებისთვის. თანდათანობით ჩანს იმის სიმპტომი, რომ წინა პლანზე გადმოვა და საკუთარ პოზიციებს დაიბრუნებს კულტურული ელიტა, რომლის ნამსხვრევები ჯერ კიდევ შემოგვრჩა.

ამ თვალსაზრისით საოცრად დამაიმედებელი იყო მეუფე იობის დიდებული პუბლიკაცია, რომლის მსგავსიც უკანასკნელ ოცწლეულში არაფერი წამიკითხავს. ეს უშიშარი აზროვნებაა. მეუფე იობი ბრძანებს, რაც ხდება, პირველ ყოვლისა, ჩვენ ვართ ამაში დამნაშავეო.

ცრუპოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ მათი წასვლის ჟამი დადგა. დააკვირდით, როგორ ლაპარაკობენ რვიანები, ცხრიანები თუ ათიანები... თუ უწინ იმ ხალხს, ვინც ქუჩაში არ გამოვიდოდა, საქონლებს და რას არ ადარებდნენ, ახლა ამბობენ, ხალხი გამოვა და ჩვენ მათ გვერდით დავდგებითო, ანუ პირდაპირი გაგებით ისინი უარს აცხადებენ ლიდერობაზე.

იყო პერიოდი, ფორუმი საზოგადო ასპარეზზე თვალში ჩავარდნილი უფლისწულის მსგავსად გამოჩნდა. ხალხმა კარგად მიიღო ისინი, მაგრამ რა დემაგოგია დაატრიალეს? მათ არავითარი იდეა არ გააჩნიათ. ჯერ ჩრდილოვანი კაბინეტის შექმნა უნდოდათ, რომელსაც ერის ერთადერთ ხსნად მიიჩნევდნენ. ეს იდეა მაისაშვილს ეკუთვნოდა, მაგრამ ფორუმელებმა ორიგინალურ აზრად გამოაცხადეს.

შემდეგ დრო გავიდა და ალტერნატიული პარლამენტის შექმნაზე დაიწყეს ლაპარაკი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 113

გადის დრო და – არავისთან ურთიერთობა არ გვსურს, ვინც მაისის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებსო. სოფელ-სოფელ სიარული დაიწყეს. ზაფხულის ხვატში ფორუმელები ანგარიშს გვაბარებდნენ. თან გვაყვედრიდნენ, თქვენ ვინ ხართ? აჭარაში 82 წლის ხოჯა ვნახეთ, პერიფერიებში ჩვენზე მეტი იციანო...

ისიც გეხსომებათ, მათმა ლოზუნგებმა ხალხის გამოყვანის მოთხოვნით სრული კრახი განიცადა – ხალხს გამოვიყვანთ და სააკაშვილს დავამთავრებთო;

მაგრამ მათ ეს ყველაფერი ჩაუფლავდათ. დიპლომატიის მამა ტალეირანი წერდა, პოლიტიკოსს ენა იმიტომ აქვს, თავისი მიზნები დამალოსო. ისინი კი დამალვის ნაცვლად ყოველდღე სისულელეებს აფრქვევდნენ.

მათ პოლიტიკა, მართლაც, თამაში ჰგონიათ!.. მახსოვს მ. სააკაშვილის სიტყვები, პოლიტიკური თამაშების აკადემიკოსი ვარო.

**– და ხალხი მათი მანიპულაციების მიზანს მშვენივრად ხვდება... რომ ფორმალურია მათი ძახილი გაერთიანებაზეც. მხოლოდ ქულების ჩაწერას ემსახურება, სინამდვილეში კი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისგან შორს არიან!**

– მათი მანიპულაციების პრიმიტივიზმი ადვილად საცნობია, ისინი არ არიან პოლიტიკოსები. ის, რომ სამშობლო გიყვარს და გვაყვედრი, დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მოვაწერეო, მოსაწონია?

ძალიან კარგად ვიცნობდი ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ეს ადამიანები სამშობლოსთვის დაილეწნენ. მერაბ კოსტავა მოწამეობრივად აღესრულა და დამაყვედრებელი სიტყვა არ თქმულა მისგან, აქაოდა, საქართველოსთვის 10 წელი ციხეში ვიჯექიო. არც ზვიადს არ უთქვამს არასოდეს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მოვაწერეო.

თამაშის დრო პოლიტიკაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. მათ ტაშიც, ოვაციაც და ყვავილებიც ბევრი მიიღეს. მაგრამ სანამ ტალახს არ ესვრიან, სცენა არ უნდა დატოვონ?

უაღრესად არაჯანსაღი აურაა მთელ საქართველოში სწორედ ამ ცრუ პოლიტიკოსების გამო. მათგან მუდამ ბოღმის, სიძულვილის, ზიზღის ნიაღვარი მოედინება. აურა ძველებურად მომქროლ ნიავს ნიშნავს, მაგრამ რაც ჩვენთან ხდება, ნიავი არ არის, ჩვენში ნამდვილი ქარიშხალი ტრიალებს...

მიხეილ სააკაშვილმა ორი წლის წინათ თქვა, ოპოზიციაში რომ ვიყო, ხელისუფლებას სამ თვეში დავამხობდიო. ამ ქვეცნობიერი წამოცდენის მიღმა იმალება აღიარება იმისა, რომ მისი ხელისუფლება დასამხობია. ეს ყველაზე უკეთ თვითონ სააკაშვილმა იცის, მაგრამ იმდენი ჭკუა არ ჰყოფნის, ხმამაღლა არ განაცხადოს.

ამ სიტყვების შემდეგ ორი წელიწადი გავიდა და ოპოზიციამ ვერც 6 თვის თუ 1 წლის განმავლობაშიც კი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისია ვერ შეასრულა, ანუ კრახი განიცადა.

ამ ოპოზიციას უფლება არ აქვს პოლიტიკურ საქმიანობაზე ჰქონდეს პრეტენზია. ხოლო თუ მათ თამაში უნდათ, შეუძლიათ სხვა სფერო მოძებნონ. მაგრამ სხვა სფეროში ვერ ითამაშებენ. კითხვა უკვე დაავიწყდათ, წერა არ იციან. ამაყობენ, რომ 15-20 წელი პოლიტიკაში არიან. ვინმეს ამ ხნის განმავლობაში მათი ერთი ნაშრომი, კონცეფცია თუ უნახავს? მათი სახელმწიფოებრივი ნააზრევი წაუკითხავს?

**– ოპოზიცია საარჩევნო გარემოს შეცვლას ითხოვს. ხშირად მანიპულირებს არჩევნების გაყალბების თემით და პარალელს 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან ავლებს. თქვენ რას ფიქრობთ ამ თემაზე?**

– საარჩევნო გარემოს შესაცვლელად რვიანი თავგამოდებით იბრძვის.

1999 წლის გაყალბებული არჩევნების გამო ლამის დაიქცა საქართველო, მაგრამ მაშინ ბევრი მათგანი პარლამენტში შევიდა, თუმცა არ უთქვამთ, არჩევნები ყალბდებაო. მათ საჭიროდ მიიჩნეს გაყალბებული არჩევნებით პარლამენტში შესვლა.

მსგავსი გაყალბებული არჩევნების შედეგად ისინი არაერთხელ შესულან პარლამენტში. აქედან დასკვნა – ესეც მათთვის მანიპულაციის თემაა, რაც იმას გულისხმობს, რომ პოლიტიკოსობა ხელსაყრელი ბიზნესია.

რა მოხდა 1990 წლის 28 ოქტომბერს? ამ თარიღზე ხშირად მსჯელობენ და ზვიად გამსახურდიას ახსენებენ, ზვიად გამსახურდია ამ დღისთვის 35 წლის განმავლობაში ამზადებდა ქართველ საზოგადოებრიობას და ნამდვილი ლიდერი იყო. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენდნენ. მეტიც, 9 აპრილს მერაბ კოსტავას ხუთწუთიანმა სიტყვამ ცხადყო, რომ პატრიარქთან შედარებითაც კი უფრო ავტორიტეტული მაშინ პოლიტიკური ელიტა იყო. პატრიარქს ხალხი არ გაჰყვა და მერაბ კოსტავას და ირაკლი წერეთლის სიტყვას ენდნენ.

იხ. 4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ექსკლუზიური ინტერვიუ

# საქართველოში ტოტალური სიცრუის აურა ტრიალებს...

(მესამე გვერდიდან)

თვით პატრიარქის ავტორიტეტმაც კი ვერ დაჩრდილა პოლიტიკური ელიტა. სხვა საქმეა, შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები. ბუნებრივია, ყოველ ელიტას აქვს აღმასვლისა და დაღმასვლის პერიოდები. მაშინ ნამდვილმა პოლიტიკურმა ელიტამ მიაღწია გამარჯვებას. მიზანი იყო დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო და ამას მიაღწიეს უკომპრომისო ბრძოლაში.

მაგრამ დღევანდელ ოპოზიციას რომ სურს ზვიად გამსახურდიას მსგავსად მოიქცეს, ამას ისინი ვერ შეძლებენ. ხშირად ახსენებენ გუმბარიძესთან მოლაპარაკებებს, მაგრამ მასთან მოსალაპარაკებლად 9 აპრილის შემდეგ მივდიოდით, როცა უკვე არსებული ხელისუფლება აბსოლუტურად კომპრომენტირებული იყო. მძლავრი იდეოლოგიური და ფიზიკური დაპირისპირების მიუხედავად, ახალი პოლიტიკური ელიტა ხალხმა მიიღო. ამ ელიტამ უკვე არჩევნებამდე გაიმარჯვა და შემდეგ არჩევნების მოგება პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

რა უნდა დღევანდელ ოპოზიციას? – საარჩევნო გარემოს შეცვლა და შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლა. ესენი ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს ვერ შეაცვლევინებენ და მხოლოდ გარიგების შედეგად აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას, რა თქმა უნდა, რაღაც კვოტებითა და პროცენტებით. ეს არის მთელი მათი იწილო-ბიწილოს მთავარი მიზანი.

**– ანუ მაშინდელი პროცესები დღევანდელი მოვლენებისგან არსებითად განსხვავდება?..**

– როდესაც მაშინდელ ხელისუფლებას საარჩევნო გარემო შევაცვლევინეთ, ზვიად გამსახურდიამ მთხოვა მასთან მივსულიყავი. სექტემბრის დასაწყისი იყო, კოლხური კოშკის ეზოში ვისხედით... მოგეხსენებათ, მაშინდელი ოპოზიცია მძლავრი იყო და ზვიადის წინააღმდეგ გამოდიოდნენ – სავარძელს დახარბდა, ძალაუფლებითაა გატაცებულიო. აი, მაშინ მითხრა ზვიადმა ის, რაც ბევრმა არ იცის – გადავწყვიტე არჩევნებში არ მივიღო მონაწილეობაო. ჩემი მეგობრები მიიღებენ მონაწილეობას, მე კი გარედან ვიმოქმედებ, რომ მოვლენები სწორი მიმართულებით წარიმართოსო.

ბორჯომში მივდივარ, ტექსტს გადმოგცემ და როცა საჭირო იქნება, წაიკითხეო. ტექსტის შინაარსი ასეთი იყო: ვინაიდან არჩევნებში ჩემმა მონაწილეობამ კიდევ უფრო გაამძაფრა ეროვნულ ძალთა შორის დაპირისპირება, რომელიც, აშკარად ვატყობ, რომ ცუდ ხასიათს იღებს, ამიტომ მე, ზვიად გამსახურდია პირადად უარს ვამბობ არჩევნებში მონაწილეობაზე, მაგრამ მთელს საქართველოს მოვუწოდებ მხარი დაუჭიროს პოლიტიკურ ბლოკს „მრგვალი მაგიდა-თავისუფალ საქართველოსო"...

ზვიადს მხარზე ვაკოცე და ვუთხარი, რომ ეს იყო მაჰათმა განდის ნაბიჯი.

მეორე დღეს მარჯანიშვილის ქუჩაზე, ოფისში მივედი, სადაც უამრავი ხალხი დამხვდა. მათ შორის ჩვენი მაშინდელი პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც, რომლებიც ყოველ დღე მოდიოდნენ და გამსახურდიას თანამდებობას დახარბებულ ადამიანად მოიხსენიებდნენ.

მაშინ საჯაროდ წავიკითხე ზვიადის წერილი. ხალხი ტიროდა... რადგან გულწრფელი სიტყვები მოისმინა.

შემდეგ ასე განვითარდა ეს პროცესი: „მრგვალი მაგიდის" სხდომაზე ბევრი წავიდა ზვიადის გადაწყვეტილების წინააღმდეგ და ზვიადი პარლამენტში შევიდა.

ამით რა მინდა ვთქვა? მაშინდელი პროცესები დღევანდელობისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა. დღეს ავიწყდებათ, რომ ზვიად გამსახურდია მაშინ იყო დიდი ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური ელიტა.

ახლანდელი ოპოზიცია არ არის ის ელიტა, რომელსაც ხალხი დაუდგება გვერდით საარჩევნო გარემოს შესაცვლელად. ამ 20 წლის განმავლობაში ხალხმა ყველანი ძალიან კარგად გაიცნო.

ეს კი წინ გადადგმული ნაბიჯია. 26 მაისის შემდეგ ჩვენი ხალხისთვის გუშინდელი ელიტა ელიტა აღარ არის, მას არ ენდობა და პატივს არ სცემს.

მეტსაც გეტყვით, მალე ხალხი მოვა და ამ პოლიტიკოსებს, დღეს რომ ეხვეწებიან, თქვენს გვერდით დავდგებითო, ახლოსაც არ გაიკარებს.

**ესაუბრა**
**ნატა ნიბლაძე.**



„კონკიას დები"



# რობერტ სტურუა: „ბარამბოს რედაქტორს" ბროლის ქოში არ მოერგო

რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალური ქსელის მეშვეობით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ალეგორიული ფორმით აკრიტიკებს. რეჟისორს ალეგორიად კონკიას ზღაპარი აქვს გამოყენებული. იგი კონკიას კრებსით სახელ უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიას ცოლს, ჟურნალ „ტაბულას" რედაქტორს თამარ ჩერგოლეიშვილს მოიაზრებს. რობერტ სტურუა ჩერგოლეიშვილს „კონკიას" გარდა „ბარამბოს რედაქტორის" ეპითეტითაც მოიხსენიებს.

„...არ გიკვირთ, ასე რატომ გააფრთდნენ სწორედ ის ადამიანები, ვის ხელშია ჩემი ბედკრული ქვეყანა? რატომ გაჰკივიან დუჟმორეულნი სწორედ ისინი, ვინც საქართველოში ყველაზე ბედნიერად უნდა გრძნობდეს თავს (რაც გინდა სულო და გულო - შენიაძ? ნუთუ იმიტომ ღელავენ, რომ ასეთი ჰუმანისტები არიან და ასე უყვართ მოყვასნი თვისი?! არა მგონია! წლევანდელი 26 მაისი სულ სხვას გვეუბნება!

მაშინ რა, ასე არაადამიანურად შესტკივათ გული აფრიკელი ველური ტომის შვილის გამო? ვერ მოგვატყუებენ – არ დაგავიწყდეთ, შენიანს თუ უმოწყალოდ ექცევი, სხვას ვერ შეიყვარებ!

და როცა „ბარამბოს" რედაქტორის ბოროტებისაგან შეცვლილ სახეს შევხედე, ყველაფერს მივხვდი! კონკიას დები გამახსენდა – გამწარებულება ბროლის ქოშს რომ ვერ მოურგეს ფეხი! იციან, გრძობენ, ვინ არის ამ ქოშის ჭეშმარიტი მფლობელი და შხამიან ოფლში იწურებიან! იციან და პირველად რეალურად ხვდებიან, რა უბადრუკი დასასრული ელით მათ.

მეც ვიცი, არა, მჯერა, არა, მწამს – ადრე თუ გვიან – ჩამოვა სხვენიდან ჩემი დაკონკილი საქართველო და ღიმილით მოირგებს იმას, რაც მას ასე უნამუსოდ წაგლიჯეს დედინაცვალმა და მისმა ნეობოლშევიკებმა," – წერს რობერტ სტურუა „ფეისბუქში".

რობერტ სტურუას მიერ დაწერილ ამ კომენტარებს წინ შემდეგი ამბები უძღვოდა: 16 მაისს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტოს „საქინფორმის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულმა მისმა ინტერვიუმ საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია. ინტერვიუში სტურუამ მიხეილ სააკაშვილზე ასეთი რამ თქვა – „სომეხია და რა ვქნათ... ეს ხომ არ არის დამალული?"

ფაქტს მალევე მოჰყვა გამოხმაურება სოციალურ ქსელებში. მედიის ყურადღება კი ჟურნალ „ტაბულას" დამფუძნებლის თამარ ჩერგოლეიშვილის მიერ გაკეთებულმა კომენტარმა დაიმსახურა: „ვინც ამ ინტერვიუს შემდეგ მეტყვის, რომ რობერტ სტურუა სრული სირი არ არის, აღარ დამირეკოს. სრული კი არა, დეგრადირებული სირია(!ძ".

Tribuna.ge

რა ზნე გვჭირსა?..

# ევროპული ტიპის საავადმყოფოებში ჩვენ ვინ შეგვახედებს?

**ჯერ კიდევ ლადო ჭიპაშვილის მინისტრობის დროიდან, ხშირად ვისმენდით სასიამოვნო ინფორმაციას ქვეყანაში ასი ახალი საავადმყოფოს აშენების შესახებ. ამას ბატონი პრეზიდენტიც ადასტურებდა. ჩვენც იმედით შევყურებდით მომავალს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დაპირება დაპირებად დარჩა და იმ ძველ საავადმყოფოებსაც აღარ ეღირსა „გადახალისება".**

მაგრამ აი, უკვე ხელახლა გაჟღერდა სასიამოვნო ცნობა, რომ ქვეყანაში აშენდება ევროპული სტილის 100 საავადმყოფო. გული იმედით აივსო. ევროპული ტიპის საავადმყოფოში რაღა მოკლავს ავადმყოფს და, რაც მთავარია, ჩვენი ბედის ნებიერი ჩინოვნიკები სამკურნალოდ აღარც ევროპაში წავლენ და აღარც ამერიკაში. აგაშენათ ღმერთმა, ბატონო პრეზიდენტო, ბრწყინვალე ჩანაფიქრია, მაგრამ ვირწმუნოთ, რომ ის ევროპული სტილის საავადმყოფო ღარიბ-ღატაკებისთვის იქნება მისაწვდომი? ამას ვინ დაიჯერებს. ჩვენს ქვეყანაში განუსაზღვრელად მომრავლებული ავადმყოფებისთვის იქნებ მაშინ გახდეს მისაწვდომი, უკვე საკმაოდ გატიალებული საავადმყოფოები, აბა, ევროპულ საავადმყოფოებში ჩვენ ღარიბ-ღატაკთ და მთავრობისგან მოძულებულთ ვინ შეგვახედებს, მაგრამ არა მგონია, რომ საზღვარგარეთს მოეშვან ბედის ნებიერნი, ფულს ვერ იშოვნიან, თუ მთავრობა არ გადაურიცხავთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან? სად თბილისში აშენებული ევროპული საავადმყოფო და სად ევროპაში არსებული, ესეც არ იყოს, ამაყად ჟღერს. იქ ადგილზე რომ იმკურნალებს, უფულობა შეაფერხებთ თუ... და მიუხედავად იმისა, რომ ფულით სავსე ტომრები აქვთ, ალბათ მაინც სახელმწიფოსაგან უნდა მიიღონ. აბა, რა უჭირდა საიმისო, რომ 75 მილიონის მფლობელ ზ. ნოღაიდელს უცხოეთში სამკურნალოდ ბიუჯეტიდან გადაერიცხა 200 ათასი დოლარი? იქნებ, ბატონმა გიგი უგულავამაც გაიმეტა საკუთარი ფონდიდან თანხა, ევროპაში მეუღლის მშობიარობისთვის... კიდევ უარესი, არც თუ ისე დიდი ხნის გამინისტრებულ ბატონ ანდრია ურუშაძეს დედის სამკურნალოდ ვენის საუნივერსიტეტო კლინიკაში რეფერალური პროგრამიდან სხვადასხვა დროს გადაერიცხა 53.750 ლარი, 16730 ლარი, 4156 ლარი, 3001 ლარი, 645 ლარი, 604 ლარი და 14 ლარიც კი! 14 ლარის გადარიცხვა თურმე ვალუტის კურსის ცვლილებამ გამოიწვია! მთელი ეს თანხა შეადგენს 78.899 ლარს (გაზეთი „კვირის პალიტრა" 7-13 მარტი, 2011 წ.ძ იმ დროს, როდესაც ღარიბ-ღატაკს უფულოდ თვით საქართველოს საავადმყოფოს კარებსაც არ გაუღებენ. ვისაც არ ახსოვს შევახსენებთ: 1 წლის წინათ კახეთიდან მძიმე მშობიარე ქალი, უფულოდ არ მიიღო თბილისმა და უკან გაბრუნებული გზაში დაიღუპა! აი, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვინ ნაგვის გროვაში ეძებს ლუკმა-პურს, ვინ ოხრად ნაშოვნი ფულებით მსოფლიოს უვლის.

საზღვარგარეთ მკურნალობა ხომ არ ცლის ქვეყნის ხაზინას? ბატონი პრეზიდენტი და მისი გუნდი ნებაზე რომ დაგრიალებენ თვითმფრინავით, თუნდაც მანქანით, საკუთარი ჯიბის ფულს ხარჯავენ?..

სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, თუმცა ბევრს აღარ გეტყვით, თქვენი შვილების კეთილდღეობისთვის მილიონებს ხარჯავთ, მაგრამ რა გუნებაზე დგებით ტროტუარზე მიგდებული მათხოვარი ბავშვის დანახვაზე? თუმცა, ამას თქვენ ვერასოდეს დაინახავთ თვითმფრინავიდან, თუ ასფალტზე მოსიარულე ტრანსპორტიდან.

ეგაც არ იყოს: ამ „აყვავებულ ქვეყანაში მარტოხელა დედებისთვის – თითო ბავშვზე თვეში 5 ლარი დააკანონეთ. ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ამაზე მეტი ცინიზმი რაღაა. 5 ლარი გამოკვებავს ღარიბ-ღატაკი ოჯახის ბავშვებს? „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო". თუნდაც ერთ დღეს ეყოფა თქვენს შვილებს 5-5 ლარი?

აშკარაა, რომ თქვენი მიზანი ქვეყნის აღორძინება კი არა, ყოველივე ეროვნულის ამოძირკვაა.

ბატონო პრეზიდენტო, ქართველი მეფეები დარბაზს ეკითხებოდნენ ჭკუას. მათ უთანხმებდნენ ყველაფერს. კარგადაც მიდიოდა საქმე, მართალია, მოძალებულ მტერთან ხშირად დავმარცხდით, მაგრამ საბოლოოდ, ვერავინ გაგვტეხა. ყოველთვის მძლავრობდა ქართული სისხლი, ქართული სარწმუნოება და ამიტომაც შემოვრჩით დღემდე. თქვენც ეცადეთ, გააკეთოთ ქართული საქმე, ააღორძინოთ ქვეყანა, მაშინ ჩვენც ვირწმუნებთ თქვენს ერისკაცობას, თქვენს პატრიოტიზმს, არა ვართ დაუნახავი, დააყენეთ საქმე ისე, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს, პური მეპურემ გამოაცხოს, თუჯი და ფოლადი მეტალურგმა გამოადნოს, მიწა გლეხმა დაამუშაოს. ნურც ქართულ ხორბალს, თუ სიმინდს ამოძირკვავთ, ნურც ქართულ საქონელს გადააშენებთ. რა ვუყოთ, თუ ქართული ძროხა, ჰოლანდიურ „მამალ ძროხაზე" ნაკლებს მოიწველის. ნურც საძოვრებს, წყალს, წიაღისეულს, ტყეს მიყიდით გადამთიელს. ნურც ის გაგახარებთ, რომ უცხოტომელებით აივსო ქვეყანა. გაიხსენეთ და შეიბრალეთ ლუკმა-პურის საძიებლად უცხოეთში გადახვეწილი, მონად ქცეული მრავალი ქართველი.

**ზინა ლობჟანიძე,**
**კურორტი აბასთუმანი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

პოზიცია



**„რვიანის“ შანსებზე, შეცდომებსა და პერსპექტივაზე, ასევე საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობის გაუმჯობესების თემაზე, ხელისუფლება-ოპოზიციის მოლაპარაკების სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ანალიტიკურ ჯგუფ „ტერრა მედიას“ გენერალურ დირექტორს, სოციოლოგ ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.**

# „რვიანში“ შემავალ ზოგიერთ სუბიექტს ნერვებმა უმტყუნა

**— ბატონო ვალერიან, პარლამენტმა ომბუდსმენის მოხსენებაზე დადგენილება მიიღო, უფრო სწორად, დადგენილებაში ჩაიწერა, რომ მოხსენება ცნობად არის მიღებული. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატური იყო პარლამენტის რეაქცია სახალხო დამცველის კრიტიკულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე?**

— უნდა აღვნიშნო გიორგი ტუღუშის მშვიდი, თვითდაჯერებული, კვალიფიციური და ყოველგვარ ისტერიულობას და იაფფასიან პოლიტიზაციას მოკლებული საქმიანობის სტილი. დოკუმენტი შთამბეჭდავი იყო მოცულობითაც და შინაარსობრივადაც. სამწუხაროა, რომ ომბუდსმენის მოხსენებას პარლამენტის ადეკვატური რეაქცია არ მოჰყოლია, მაგრამ ამ პარლამენტში სხვა რეაქცია წარმოუდგენელიც იქნებოდა.

პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობა უკვე დიდი ხანია, არ ასახავს საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ განწყობებს და თავისი არარეპრეზენტატულობით გამოირჩევა. სწორედ ეს არის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მთავარი ამოცანა — ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო უნდა გამოხატავდეს მოსახლეობაში არსებულ ძირითად განწყობებს და ასახავდეს უდიდესი ნაწილის ინტერესებს.

**— ვითარებაში, როცა „რვიანში“ შემავალი პოლიტიკური სუბიექტების ლიდერები ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებს აფიქსირებენ, თქვენი აზრით, რა ხდება „რვიანში“ და რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას ხელისუფლებასა და „რვიანში“ შემავალ სუბიექტებს შორის დაწყებული ინდივიდუალური მოლაპარაკებებისგან?**

— ჩემი აზრით, „რვიანში“ შემავალ ზოგიერთ სუბიექტს ნერვებმა უმტყუნა. არ მესმის, რას ნიშნავს ინდივიდუალური მოლაპარაკებები „რვიანის“ ფორმატში? რა იგულისხმება ინდივიდუალურ მოლაპარაკებაში? შეიძლება უფრო შორს წავიდეთ და ვიფიქროთ „რვიანის“ წარმომადგენლობის გახსნაზე „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში? რა თქმა უნდა, ვუტრირებ, მაგრამ ამის გარეშეც არსებული ვითარება საკმაოდ გროტესკულია. ან მაგალითად, ძნელი გასაგებია, რას ნიშნავს ნებაყოფლობითი უარის თქმა მანიფესტაციებზე, მიტინგებზე და სხვადასხვა სახის ქუჩის აქტივობებზე? ეს ხომ ხელისუფლებაზე ზეწოლის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტზე უარის თქმაა.

როდესაც მოცეკვავე ცუდად ცეკვავს, ეს სულაც არ არის მუსიკის ბრალი. შექმნილია ვითარება, როცა მუსიკას „ნაციონალური მოძრაობა“ უკვეთავს. ამის ნათელი მაგალითია შესწორებები კანონში „მანიფესტაციების შესახებ“, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს და ძალაში ამ კვირიდან შევა. გამოდის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რისკი იქ დაინახა, რაზეც ზოგიერთი ოპოზიციონერი ნებაყოფლობით ამბობდა უარს. ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში დგება ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, „რვიანში“ შემავალი ზოგიერთი სუბიექტების კვალიფიკაციის პრობლემა.

რაც შეეხება საზოგადოების მოლოდინებს „რვიანთან“ მიმართებაში, ვფიქრობ, რომ საზოგადოებას არჩევანი ელემენტარულად არც აქვს. როდესაც ერთი წლის წინათ ირაკლი მელაშვილმა პრივატულად გამაცნო ის ბაზისური ინიციატივა, რომლის ირგვლივაც შემდგომში მოხდა „რვიანის“ ფორმირება, მაშინვე გამოვთქვი მოსაზრება, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის „რვიანსა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის მოლაპარაკებას ალტერნატივა არ გააჩნია. მხოლოდ მოლაპარაკებების ფორმატში პოლიტიკურ ბრძოლას ექნება ლეგიტიმური ხასიათი და მხოლოდ ამგვარი ბრძოლის შემთხვევაში ექნება ოპოზიციურ სპექტრს დასავლეთის მხარდაჭერა.

**— სულ უფრო ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, რომ „რვიანის“ ერთიანობა და მომავალიც ხელისუფლების შემდგომ ნაბიჯებზეა დამოკიდებული. თუ ამგვარი მტკიცება სამართლიანია, გაუგებარია, რატომ უნდა იყოს დაინტერესებული ხელისუფლება „რვიანის“ ერთიანობით და იმით, რომ არჩევნებზე „რვიანს“ კომფორტული პირობები შეუქმნას?**

— ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მომავალი ოპოზიციური კონფიგურაცია იქნება დამოკიდებული „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობებზე? ანუ, „რვიანი“ თმობს ინიციატივას? ვისარგებლებ შემთხვევით, „რვიანში“ შემავალ სუბიექტებს ვურჩევდი, რაც შეიძლება სწრაფად ჩამოყალიბდნენ, როგორც ერთიანი პოლიტიკური ბრენდი.

**— აშკარაა, რომ „რვიანის“ კონსტრუქციულობას მოთხოვნათა სიცხადისა და პრინციპულობის დემონსტრაცია აკლია. თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო „რვიანმა“ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით თავისი პრინციპული პოზიციების ჩამოყალიბება და ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოთხოვნა?**

— „რვიანში“ პრინციპული პოზიცია არსებობს და ეს პოზიცია დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბებულია ერთიან პროექტში. მეტიც, სწორედ რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ გააჩნია დღემდე თავისი კონტრწინადადება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წლამდე ეწინააღმდეგება ბიომეტრიის შემოტანას საქართველოს მასშტაბით და არ აპირებს მაჟორიტარული ფორმატის რაიმე რევიზიას.

თქვენი კითხვა ფრიად ნიშანდობლივია, ვინაიდან კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „რვიანი“ ჯეროვნად ვერ ახორციელებს მოლაპარაკებების პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფას და ძალიან არაეფექტიანად ურთიერთობს საზოგადოებასთან. ხელისუფლებისგან რამეს კატეგორიულად მოთხოვნა კი შეიძლება, მაგრამ რამდენად ეფექტიანია ასეთი მოთხოვნა, ეს სხვა საკითხია. საქმე ის არის, რომ ეს რუტინული პოლიტიკური პროცესია და მხოლოდ კატეგორიული მოთხოვნებით ფონს ვერ გახვალ. ამიტომაც არის საჭირო ამ პროცესში სამოქალაქო სექტორის, საექსპერტო საზოგადოების აქტიური ჩართვა და სხვადასხვა ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება და არა ბრძოლის სხვადასხვა საშუალებების ფორმებზე ნებაყოფლობით უარის თქმა.

**— არავინ უარყოფს, რომ საზოგადოება ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს და საკამათო თემებზე საჯარო მსჯელობაც უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ, „რვიანის“ მხრიდან აქციებში მონაწილეობა-არმონაწილეობაზე საუბრებზე უფრო სერიოზული ნაბიჯი არ იქნებოდა იმის გაცხადება, რომ საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად ხელისუფლების მხრიდან სერიოზული ნაბიჯების გადაუდგმელობის შემთხვევაში „რვიანში“ შემავალი პარტიები არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ?**



— ამ მოსაზრებას კატეგორიულად ვერ გავიზიარებ. ეს გავლილი ეტაპია და მგონი, ყველა დარწმუნდა ბოიკოტის არაეფექტიანობაში. ოპოზიციის სერიოზულ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოპოვებული მანდატების უგულებელყოფა. ასევე, სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია მთელი რიგი ოპოზიციური პარტიების მხრიდან ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტირება. ვფიქრობ, რომ პოლიტიკური პრაგმატიზმის მაგალითს „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობა იძლევა. ქდმ სწორედ რომ რუტინული, მიზანდასახული და გარკვეული პოლიტიკური ცინიკურობით ნელ-ნელა ეუფლება საჭირო ფინანსურ, ადმინისტრაციულ რესურსებს, რაც ამყარებს მისი ელექტორალური რესურსის სტაბილურობას.

**— ვითარებაში, როცა საზოგადოების ნაწილი ოპოზიციის არა სისუსტეზე, არამედ სანდოობაზე ამახვილებს ყურადღებას, საზოგადოებისთვის რამდენად მისაღები შეიძლება აღმოჩნდეს ხელისუფლებასთან „რვიანის“ წარმომადგენელთა ინდივიდუალური მოლაპარაკებები? იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება ისედაც ეჭვით უყურებს ოპოზიციის ლიდერთა ხელისუფლებასთან დაწყებულ ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს, რომელსაც გამჭვირვალეობასთან არაფერი საერთო არა აქვს, ხომ არ გამოიწვევს ეს არჩევნებისადმი საზოგადოების მხრიდან ინტერესის საერთოდ დაკარგვას?**

— ინდივიდუალური „ნოვაციების“ მიმართ ჩემი დამოკიდებულება უკვე გამოვხატე, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, — „რვიანის“ ფორმატში ერთიანი საარჩევნო სუბიექტი აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს. ეს ამ სუბიექტის პოზიციების გაძლიერებას აუცილებლად გამოიწვევს. „რვიანი“ არ უნდა იყოს ჩაციკლული მხოლოდ მოლაპარაკებების ფორმატზე. მოწინააღმდეგეს რომ რამე დათმობები აიძულო და დაათმობინო, უნდა აჩვენო შენი ძალა. „რვიანს“ საამისოდ საკმაო რესურსი აქვს. მოლაპარაკებების პარალელურად აუცილებელია, უკვე დღეს ერთიანი პოლიტიკური ბრენდის პოზიციებიდან საარჩევნო კამპანიის წარმოება.

აუცილებელია ჩრდილოვანი კაბინეტის ფორმირება, „ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებული, ალტერნატიული ქვეყნის განვითარების პროექტის შემუშავება და ა.შ. ყველაფერი ეს და სათანადო ტექნოლოგიური მედიამხარდაჭერა, დარწმუნებული ვარ შესძლებს ახალი იმპულსის შეძენას ოპოზიციისთვის და მთლიანად პოლიტიკური პროცესისთვის. საუბარი იმაზე, რომ თითქოს „რვიანში“ შემავალ პარტიებს შორის არსებობს გარკვეული გადაულახავი პოლიტიკურ-იდეოლოგიური და ღირებულებითი წინააღმდეგობები, პირადად მე პოლიტიკურ ინფანტილიზმად მიმაჩნია. მხოლოდ ფართო კოალიციას შეუძლია პოლიტიკურ ბრძოლაში ეფექტიანად დაუპირისპირდეს ნაციონალურ მოძრაობას. არც ერთ ცალკე აღებულ პოლიტიკურ სუბიექტს არ აქვს იმდენი ელექტორალური, ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსი, როგორიც ნაცმოძრაობას, როგორც პოლიტიკურ კორპორაციას.

**— ბრძანეთ, „რვიანი“ ერთიან საარჩევნო სუბიექტად უნდა ჩამოყალიბდესო, მაგრამ საეჭვოა ასე მოხდეს. თქვენი აზრით, რა ვითარებას მივიღებთ, თუ „რვიანი“ ერთიან პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა?**

— მე არ ვარ ასე პესიმისტურად განწყობილი და ვიმედოვნებ, რომ რაციონალიზმი და სალი აზრი გაიმარჯვებს. ვიმეორებ, სხვა გამოსავალი ოპოზიციას არა აქვს. სავსებით ვუშვებ იმის შესაძლებლობასაც, რომ მომავალი პოლიტიკური კოალიცია შეიძლება ვერ შედგეს „რვიანის“ სრულ ფორმატში, მაგრამ არც ამაში ვხედავ უბედურებას.

ვფიქრობ, რომ მომავალი კონფიგურაცია, სავარაუდოდ, 6-7 პოლიტიკური სუბიექტისგან შედგება. თუკი ერთიანი პოლიტიკური ბრენდი არ შედგა, არ გამოვრიცხავ მომავალ პარლამენტში ოპოზიციას იმაზე მცირე წარმომადგენლები ჰყავდეს, ვიდრე ახლა ჰყავს.

კობა ბენდელიანი

ინფორმაცია

## საფრანგეთის ელჩი გვაკრიტიკებს, ჩვენებს – სწყინთ

**საგარეო უწყება საქართველო-რუსეთის ომის შესახებ საფრანგეთის ელჩის ერიკ ფურნიეს მიერ გაკეთებულ გაცხადებასთან დაკავშირებით გაკვირვებას გამოთქვამს.**



**— ძნელია ნებისმიერი სახის შეფასების გაკეთება, სანამ თავად ელჩს არ გავესაუბრებით და არ ვკითხავთ, რატომ იყო ასეთი ტიპის განცხადება გაკეთებული. გასაკვირი იქნება, თუ ერიკ ფურნიემ მსგავსი რამ მართლაც თქვა, რადგან საუბარია იმ ქვეყნის წარმომადგენელზე, რომელიც საქართველო-რუსეთის ომის დროს უშუალო მედიატორი იყო და წამყვანი როლი ეკავა, როგორც ქვეყნებს შორის ურთიერთობის დარეგულირებაში, ისე „ცეცხლის შეწყვეტის“ შესახებ შეთანხმების შექმნაში, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**შეგახსენებთ, რომ საქართველოში საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ ჟურნალ „თბილისელებთან“ ინტერვიუში საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ისინი ომზე პასუხისმგებლობას „სხვაგან და არა იქ ეძებენ, სადაც ის არის“.**

**— ვინ წამოიწყო ომი? პირველი ვინ ისროლა ცხინვალის მიმართულებით? თქვენ ვერ შესძლებთ ისტორიის ხელახლა დაწერას და პასუხისმგებლობის შექმნას სხვაგან და არა იქ, სადაც ის არის. ამასთან დაკავშირებით, თუ ცოტა შორს მოძებნით, ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოთ მენშევიკურ რესპუბლიკას, რომელიც 1921 წელს ოსეთის მოსახლეობა გაჟლიტა და არა საფრანგეთს ან სხვა სახელმწიფოსი. ამ საქმეში რეალური პასუხისმგებლობა ორივე მხარის ნაციონალიზმს ეკისრება, რომელიც ევროპის ომების უმრავლესობის საფუძველი იყო, — აცხადებს ფურნიე ინტერვიუში.**

## ბიწაძეს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობას უპირებენ



**საქართველოს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ბრალდებულ ბადრი ბიწაძის მიმართ, ადრე გამოყენებული აღმკვეთის ღონისძიების (გირაოს) პირობების დარღვევის გამო, უფრო მძიმე აღმკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენების შესახებ.**

**— 2011 წლის 31 მაისს, საქართველოს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ბადრი რეზოს ძე ბიწაძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაოს – ასი ათასი ლარის გამოყენების შესახებ. ბადრი ბიწაძეს პროკურატურამ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის წაუყენა. 2011 წლის 26 მაისს ძალოვანი სტრუქტურების ცალკეული წარმომადგენლების მიერ ძალის გადამეტების შესაძლო ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, — აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# მთელი ცხოვრება – სამშობლოს სამსახურში!..

## მეცნიერი, მოღვაწე, მამულიშვილი

ჩვენი დროის ერთ-ერთ გამორჩეულ პროფესიონალსა და ნამდვილ მამულიშვილს, საქართველოს ენერგეტიკისა და საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს, მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ავტორს, პროფესორ **რევაზ თევზაძეს** დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი რევაზ თევზაძე დაიბადა 1931 წლის 22 ივნისს. 1955 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის სპეციალობით, რის შემდეგ განაწილებით დაიწყო მუშაობა სსრკ მეტალურგიის მრეწველობის სამინისტროს კავკასიის ფერადი ლითონების საძიებო ტრესტის ზაგლიკის (აზერბაიჯანი) გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში ჯერ ბურღვის უფროს ოსტატად, შემდეგ კი – ბურღვის უფროს ინჟინრად.

1956 წელს რევაზ თევზაძე გადმოიყვანეს საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს, კავკასიის ფერადი ლითონების საძიებო ტრესტის ერწოს (სამხრეთ ოსეთი) გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში ბურღვის უფროს ინჟინრად.

1958 წელს იგი ინიშნება „საქნახშირძიების“ ტრესტის შაორის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მთავარი ინჟინრის მოადგილედ – მთავარ ტექნოლოგად, შემდგომ – მთავარ ინჟინრად, ხოლო 1960 წელს – აღნიშნული გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსად.

1963 წელს რევაზ თევზაძე დაინიშნა „საქნახშირძიების“ ტრესტის მადნეულის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსად, სადაც მუშაობდა 1971 წლამდე. იმავე წელს ინიშნება საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ფოლადაურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსად. 1972 წლის მარტიდან იგი გადაჰყავთ ამავე სამმართველოს ლითონების კომპლექსური გეოლგიურ-საძიებო ექსპედიციის უფროსად, სადაც მუშაობდა 1973 წლის 1 ივნისამდე.

მისი მოღვაწეობის ეს პერიოდი, კვაისის ტყვია-თუთიის და ერწოს ვერცხლისწყლის საბადოების კვლევა-ძიება, შაორის ქვანახშირის, მადნეულისა და ფოლადაურის სპილენძის, პოლიმეტალების და ბარიტის საბადოებზე და ბოლოს საქართველოს კომპლექსურ ექსპედიციაში ლითონების თითქმის ყველა საბადოზე უშუალო მონაწილეობა და ხელმძღვანელობა ფრიად დიდი მიღწევებით აღინიშნა. მისი ხელმძღვანელობით დაძიებული, გახსნილი და დამტკიცებულია მინერალური რესურსების მრავალი საბადო, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების წარმატებული ძიებისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების წარმოებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის, მადნეულის საბადოს დაძიებისა და მარაგების დამტკიცებისათვის 1971 წელს, 38 წლის ასაკში, პირველს და ერთადერთს საქართველოს მთელ გეოლოგიურ საზოგადოებაში, მიენიჭა საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

1973 წლის პირველი ივნისიდან რევაზ თევზაძე ინიშნება „საქნავთობის“ ტრესტის მმართველად. 1975 წლიდან – საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალურ დირექტორად, ხოლო 1992 წელს – დეპარტამენტ „საქნავთობის“ თავმჯდომარედ. 1999-2004 წლის 17 მაისამდე იგი არჩეული იყო და მოღვაწეობდა სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

სწორედ 1973 წელი აღმოჩნდა გარდამტეხი ჩვენი ქვეყნის ნავთობის მრეწველობის განვითარებისათვის, სწორედ ეს წელი ითვლება ათვლის წერტილად იმ განსაკუთრებულად დიდი წარმატებებისა, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ბატონმა რეზომ და რომელთაც თანმიმდევრულად, დიდი შემართებითა და შორსმჭვრეტელობით, არსებული მოვლენების სწორად შეფასებითა და ყოველთვის სწორი გადაწყვეტილებების მიღებით განავითარებდა 31 წლის განმავლობაში.

სწორად შერჩეულმა მენეჯმენტმა, ჩვენს ქვეყანაში არსებული საუკეთესო მენავთობე გეოლოგების, მბურღავების და ინჟინრების მობილიზაციამ, ადრე ჩატარებული გეოლოგიური და გეოფიზიკური სამუშაოების კვალიფიციურმა შესწავლამ და სწორმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა დროის უმოკლეს მონაკვეთში საუკეთესო შედეგების მიღება: თუ 1930 წლიდან 1973 წლამდე საქართველოში სულ მოპოვებული იყო 1300 ათასი ტონა ნავთობი, 1980-1983 წლებში ყოველწლიურად მოიპოვებოდა 3.300 ათასი ტონა. საქართველოში მთლიანად მოპოვებული 27,3 მილიონი ტონა ნავთობიდან 26 მილიონი ტონის მოპოვება, სწორედ ბატონი რეზოს ხელმძღვანელობის პერიოდს უკავშირდება. ყველაფერი ეს, იმ ქართველ მენავთობეთა თაობების ოცნების ასრულება იყო, რომელთაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული ნავთობის მრეწველობის გავითარებას მოახმარეს. მათ საბოლოო გამარჯვება, სწორედ რევაზ თევზაძის ხელმძღვანელობით მოიპოვებს.

ახალი საბადოების აღმოჩენამ და ნავთობის მოპოვების ზრდამ წარმოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხი დააყენა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიხსნა დარგის ახალი სპეციალობები, რომელთა შესწავლისთვის აუცილებელი გახდა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღჭურვილი სხვადასხვა ლაბორატორიისა და სასწავლო კორპუსების დაარსება. ალბათ, დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკული მაღლივი კორპუსი ნავთობის მრეწველობის საკავშირო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით აშენდა, რომლის მთავარი ინიციატორი გახლდათ ბატონი რევაზ თევზაძე.

> **ახალი საბადოების აღმოჩენამ და ნავთობის მოპოვების ზრდამ წარმოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხი დააყენა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიხსნა დარგის ახალი სპეციალობები, რომელთა შესწავლისთვის აუცილებელი გახდა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღჭურვილი სხვადასხვა ლაბორატორიისა და სასწავლო კორპუსების დაარსება. ალბათ, დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკული მაღლივი კორპუსი ნავთობის მრეწველობის საკავშირო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით აშენდა, რომლის მთავარი ინიციატორი გახლდათ ბატონი რევაზ თევზაძე.**

ბატონი რეზოს უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს უცხოური ინვესტორების დაინტერესება დამოუკიდებელი საქართველოს ხმელეთსა და შავი ზღვის შელფზე არსებული ნავთობისა და გაზის რესურსებით. მისი დიდი მცდელობითა და შემოქმედებითი მოღვაწეობით საქართველოში მოიწვიეს და დღესაც მუშაობენ ისეთ ცნობილი ნავთობკომპანიები, როგორიცაა ამერიკურლი „ფრონტერა“ და „ანადარკო“, ინგლისური „კანარგო“ და „რამკო“, შვეიცარიული NPL და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე ბატონმა რეზომ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასწყისში დაიწყო მუშაობა მოსკოვის, კიევისა და ბაქოს სამეცნიერო ინსტიტუტებთან. სწორედ მისი პირადი ინიციატივით და მონაწილეობით 1992 წლიდან შეიქმნა ბუნებრივი მიწისქვეშა გაზსაცავების მშენებლობის პროექტები. სამწუხაროდ, არც ერთი ამ პროექტის განხორციელება ჯერჯერობით არ მოხერხდა, თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

დიდია პროფესორ რევაზ თევზაძის ღვაწლი მენავთობეთა კადრების აღზრდაში. 1964 წელს „ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და ბურღვის“ კათედრაზე მან წარმოებისგან მოუწყვეტლად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურის სრული კურსი და ამავე წლიდან აღნიშნულ კათედრაზე შეთავსებით დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. 1975 წლიდან მოყოლებული, 10 წლის მანძილზე იგი იყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის „ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და ბურღვის“ კათედრის საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე. 1980 წელს დაიცვა დისერტაცია მოსკოვის გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1995 წლიდან იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო შრომა, 3 მონოგრაფია, 11 გამოგონება.


პროფესორი რევაზ თევზაძე - 80

რევაზ თევზაძის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჯეროვნად დაფასდა. იგი დაჯილდოებულია ოქროს ვარსკვლავის მედლით, ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომის ვეტერანი“. 2001 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. სხვადასხვა დროს არჩეული იყო ტყიბულის, ბოლნისის და თბილისის საქალაქო საბჭოების დეპუტატად. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის და საპატიო მენავთობის წოდებები.

იგი არის საქართველოს საინჟინრო და ენერგეტიკული აკადემიების ნამდვილი წევრი, ბუნების და საზოგადოებრივი მეცნიერების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონი რევაზი თავის იუბილეს ხვდება, როგორც საქართველოს ნავთობის მრეწველობის პატრიარქი.

ბატონო რევაზ! გილოცავთ 80 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით მიღწევებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია; საქართველოს საინჟინრო აკადემია; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; გ. ჩოგოვაძის საქ. ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „ენერგია“ რედაქცია**

## აგსრულებოდეთ ნანატრი, ბატონო რევაზ!

საქართველოში ნავთობისა და გაზის მრეწველობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია **რევაზ თევზაძეს**, რომელსაც დღეს 80 წელი შეუსრულდა.

ბატონმა რევაზ თევზაძემ ცხოვრების ნახევარი საქართველოში ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებას მიუძღვნა. „საქნავთობი“, თავისი არსებობის განმავლობაში, არაერთხელ იდგა სირთულეების წინაშე. ერთ-ერთი ასეთი რთული მომენტი იყო 1973 წლის დასაწყისშიც, როდესაც დადგა „საქნავთობის“ ლიკვიდაციის საკითხი და სწორედ ამ რთულ დროს, 1973 წლის მაისში „საქნავთობის“ მმართველად დაინიშნა ბატონი რევაზ თევზაძე. ამ დროიდან დაიწყო საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის ისტორიაში ახალი და უმთავრესი ეტაპი. ბატონი რეზოს მტკიცე და გაბედულ მოქმედებას უმოკლეს დროში მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი წარმატებები მოჰყვა. საქართველოს მენავთობეთა თავდადებული შრომა, რომელსაც სათავეში ბატონი რევაზ თევზაძე ედგა, დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. 1974 წელს გაიხსნა სამგორის ნავთობის მსხვილი საბადო. ამ წარმატებამ დასაბამი მისცა ნავთობსაძიებო სამუშაოების ფართოდ გაშლას მთელი საქართველოს მასშტაბით, რასაც მოჰყვა კიდევ რიგი საბადოების გახსნა (სამხრეთ გუმბათი, თელეთი, რუსთავი), ხოლო ნავთობის მოპოვება ნახტომისებურად გაიზარდა.

საკავშირო ნავთობის სამინისტროს ხელმძღვანელობა სასიამოვნოდ გაოცებული იყო საქართველოში დაწყებული ნავთობის მოპოვების მკვეთრი ზრდით და მხარში ედგა ბატონ რევაზს, ყველა ქართველ მენავთობეს, რაც დიდად უწყობდა ხელს სათანადო სამუშაოების ჩატარებას. სამგორის საბადოს აღმოჩენა ბატონი რევაზ თევზაძისათვის, ისევე როგორც თითოეული ქართველი მენავთობისთვის, უდიდესი სიხარულიც იყო და დიდი პასუხისმგებლობაც, რადგან ამ წარმატებას ესაჭიროებოდა შემდგომი განვითარება, შესაქმნელი იყო სათანადო ინფრასტრუქტურა, ამას კი შესაბამისი ფინანსები და კვალიფიციური კადრების მობილიზება სჭირდებოდა. ამ საქმეშიც ბატონმა რევაზმა შესაშური ძალისხმევა და ენერგია ჩადო და მიაღწია ნავთობისა და გაზის სამუშაოებისათვის კაპიტალდაბანდებების მკვეთრად გაზრდას.

ახალი საბადოების გახსნამ ხელი შეუწყო ნავთობის მოპოვების სწრაფ ზრდას. 80-იანი წლების დამდეგს საქართველოში ყოველწლიურად მოიპოვებოდა 3-3,2 მილიონი ტონა ნავთობი, რამაც

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

განაპირობა ის, რომ რევაზ თევზაძის „საქნავთობში“ მოღვაწეობის განმავლობაში მთლიანად ჯამურად მოპოვებული იქნა 26,5 მლნ ტონა ნავთობი და 2 მილიარდ კუბ.მ-ზე მეტი გაზი, რაც მთლიანად მოხმარდა საქართველოს განვითარებას. რევაზ თევზაძის დიდი ძალისხმევა იყო ჩადებული სამგორი-ხაშური-ბათუმის 530-მმ-იანი ნავთობსადენის მშენებლობაში. ამ ნავთობსადენმა შემდგომში გადამწყვეტი როლი შეასრულა ჯერ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტის, ხოლო შემდეგ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის რეალიზაციაში.

ბატონ რევაზ თევზაძის სახელთან საქართველოში დაკავშირებულია არა მარტო ნავთობის მოპოვების ზრდა, არამედ დარგის სამეურნეო და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება და მის პერიოდში მომუშავე ათასობით მენავთობეთა ოჯახისათვის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება და გადაჭრაც.

ეს მხოლოდ მცირედია იმ სასიკეთო საქმეთა ჩამონათვალიდან, რაც რ. თევზაძეს გაკეთებული აქვს „საქნავთობის“ ხელმძღვანელობის პერიოდში. მისი შრომა სხვადასხვა დროს სათანადოდ დააფასეს საქართველოს მთავრობამ და საკავშირო ნავთობის მრეწველობის სამინისტრომ და მის „ოქროს ვარსკვლავს“, რომელიც „საქნავთობში“ მუშაობამდე ჰქონდა მიღებული, მრავალი ჯილდო დაემატა.

**ცხადია, ამ წარმატებაში რევაზ თევზაძესთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით „საქნავთობის“ მთელ კოლექტივს და წამყვან სპეციალისტებს, მაგრამ გადამწყვეტი იყო, მაინც, ბატონი რევაზ თევზაძის პირადი წვლილი. მისმა პირადმა თვისებებმა, რომელთაგან, უწინარესად, აღსანიშნავია დიდი ორგანიზატორული ნიჭი, პროფესიონალიზმი, შრომისუნარიანობა და შესაშური ალღო, რომელსაც ის მუდამ ავლენდა ყველა საკითხის გადაწყვეტისას,**

მას საშუალება მისცა დროის მცირე მონაკვეთში „საქნავთობი“ ჩამოეყალიბებინა ერთ მონოლითად შეკრულ გუნდად, რომელიც მზად იყო მის წინაშე მდგარი რთული ამოცანების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტისთვის. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1930 წლიდან, ამ დარგში მის მოსვლამდე, ანუ 1973 წლამდე, საქართველოში მოპოვებული იყო სულ 1,4 მლნ ტონა ნავთობი, ხოლო მის პერიოდში – 1973-2004 წლებში – კი 26 მლნ ტონაზე მეტი.

ბატონო რევაზ, ჩვენ, „საქნავთობის“ კოლექტივის ყოფილი წევრები, რომლებმაც მრავალი წლის განმავლობაში თქვენთან ერთად ვიშრომეთ და მომსწრენი ვართ თქვენი დიდი წარმატებებისა, დღესაც ვხედავთ, ახლაც როგორი სულითა და გულით იღვწით და გულშემატკივრობთ საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის აღმავლობას და იმედიანად შეჰყურებთ მომავალს. გვინდა თქვენი სიტყვები გაგახსენოთ, რომ გჯერათ, ქართველ მენავთობეებს კიდევ ბევრჯერ მიეცემათ ახლად გახსნილი საბადოებიდან ნავთობის „დაჭაშნიკების“ შესაძლებლობა, რადგან საქართველოს წიაღში ნავთობის და გაზის საკმაო რესურსებია, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ აღმოსაჩენია. გისურვებთ, ეს ყოველივე აგსრულებოდეთ და თქვენი გული გახარებულიყოს ამ წარმატებებით!

სულითა და გულით გილოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, მეგობრებისა და კოლეგების სასიხარულოდ, თქვენს საყვარელ ოჯახთან და თანამოაზრეებთან ერთად.

**სს „საქნავთობის“
თანამშრომლები**

**⦿ გაზსადენი**

# „ნაბუკოს“ გამოკვეთილი კონტური

**მოპოვების რეგიონებიდან გასაღების ბაზრებამდე ენერგოშემცველთა ტრანსპორტირების საკითხი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახეობის საქონლით ვაჭრობისას, ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს. სწორედ მის წარმატებით გადაჭრაზეა დამოკიდებული საბოლოო ანგარიშით მთელი ქვეყნების საწვავით თუ სათბობით მომარაგება, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც მათი მოსახლეობისთვის, ასევე ეკონომიკისთვის.**

**ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში აქტიურად განიხილავენ რამდენიმე ახალი ნავთობ-და გაზსადენის გაყვანის შესაძლებლობებს, რომელთა შორის ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს და მნიშვნელობას „ნაბუკო“ წარმოადგენს, რომლის ნაწილმა საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიაროს.**

როგორც ცნობილია, აღნიშნული პროექტის მიზანია კასპიის რეგიონიდან აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და ავსტრიის გავლით ბუნებრივი გაზის ევროპის ქვეყნებში ტრასპორტირება. რაც შეეხება პროექტში მონაწილე კონკრეტულ კომპანიებს, „ნაბუკოს“ კონსორციუმის წევრები არიან თურქული „ბოთასი“, ბულგარული „ბულგარგაზი“, ავსტრიული „ომვ“ და გერმანული „რვე“, რომელთაგან თითოეულ აქციათა თანაბარი პაკეტის მფლობელია, რომელიც 16,67 პროცენტს შეადგენს. „ნაბუკოს“ ეკონომიკური პარამეტრების თანახმად, გაზსადენმა, რომელმაც 2020 წლისთვის წელიწადში 31 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა გაატაროს, ამ მოცულობით ევროკავშირის ქვეყნების ნედლეულში მოთხოვნის დაახლოებით 5 პროცენტი უნდა დაფაროს.




ენერგოშემცველების სატრანზიტო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პროექტს, ცხადია, მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც, მათ შორის საკმაოდ გავლენიანიც, რომლებსაც საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გარდა, პოლიტიკური ამბიციებიც ამოძრავებთ. „ნაბუკოს“ შემთხვევაში ასეთი № 1 მოწინააღმდეგე რუსეთია, რომელსაც ერთი რომ აუარება საკუთარი გაზი აქვს, რომლის გასაღების ბაზრის გაფართოვებაა საჭირო, მეორეც კიდევ ასეთი მნიშვნელოვანი ენერგოშემცველის ერთპიროვნულ მიმწოდებელს პარტნიორებზე ზემოქმედების უძლავრესი ბერკეტი აქვს ხელთ, რომლის მოპოვების სურვილი მოსკოვს დღითიდღე უძლიერდება. ეს, ბუნებრივია, „ნაბუკოს“ განხორციელებას წლების მანძილზე დიდად აჭიანურებს, რა პროცესაც ხელს უწყობს ასევე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, მშენებლობისთვის საჭირო სახსრების მოძიების სირთულე და სხვ.

მაისში „ნაბუკოს“ კონსორციუმის მიერ გავრცელებული ცნობით გაირკვა, რომ **გაზსადენის მშენებლობა 2013 წელს, ნედლეულის კომერციული მიწოდების დაწყება კი 2017 წელსაა დაგეგმილი.** ეს მანამდე არსებული გეგმის გარკვეული კორექტირებაა, რომლის თანახმად გაზსადენის მშენებლობა 2012 წელს, ხოლო ენერგოშემცველის მომხმარებელთათვის მიწოდება 2015 წელს უნდა დაეწყოთ.

გასულ კვირაში კი ცნობილი გახდა, რომ „ნაბუკოს“ ფრთაშესხმა სულ უფრო მეტ კონკრეტიკას იძენს.

– თურქეთის, ავსტრიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებმა თურქეთის ქალაქ ყაისერში გაზსადენის მხარდაჭერის შესახებ შეთანხმებებს მოაწერეს ხელი. ამ მნიშვნელოვან გარემოებასთან დაკავშირებით „ნაბუკო გაზ ფაიფლაინ ინტერნეშნელის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტების ოფიციალური გაფორმება მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროექტის განხორციელების გზაზე და ხელს უწყობს სატრანზიტო ქვეყნების მთავრობებთან თანამშრომლობის განმტკიცებას. **ხელმოწერილ შეთანხმებათა მთავარი ელემენტებია ევროკავშირისა და თურქეთის ენერგეტიკული კანონმდებლობების შესაბამისად შეღავათიანი სატრანზიტო რეჟიმის დადასტურება, გაზსადენის დაცვა კანონმდებლობებში პოტენციურად მიკერძოებული ცვლილებების შეტანისგან, აგრეთვე პროექტის შემდგომი რეალიზაციის ხელშეწყობაზე მიმართულ ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო მოქმედებათა მხარდაჭერა.**

ოფიციალური დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გაიმართა „ნაბუკოს“ პოლიტიკური კომიტეტის პირველი სხდომა, რომლის **მიზანია სატრანზიტო ქვეყნებს შორის ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფა. მისი ამოცანა ასევე იქნება სატრანზიტო ქვეყნების მთავრობებს შორის 2009 წელს ხელმოწერილი შეთანხმების სამთავრობათაშორისო და „ნაბუკოს“ მხარდაჭერის თაობაზე შეთანხმებათა პუნქტების შესრულება. გარდა აღნიშნულისა, პოლიტიკური კომიტეტის ამოცანაში ნებისმიერ სხვა საკითხთა გადაჭრაც შედის, რომლებიც მონაწილე ქვეყნებს პროექტთან დაკავშირებით შეიძლება წარმოეშვათ.**

როცა ლაპარაკია ენერგოშემცველთა მოხმარების მხრივ მსოფლიოში არსებული ტენდენციების დინამიკაზე, ევროკავშირში აღნიშნავენ, რომ ექსპერტთა პროგნოზით ახლო მომავალში მის წევრ ქვეყნებში გაზზე მოთხოვნილება სულ უფრო მეტად გაიზრდება. ამასთან, აღნიშნავენ, რომ მოთხოვნილების მკვეთრ მატებას მომდევნო ათწლეულში ელიან, რაც მკვეთრად გაზრდის „ნაბუკოს“ სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ხაზს უსვამენ იმასაც, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება „ნაბუკოში“ მონაწილეობასთან დაკავშირებით წლეულს ოქტომბრის მიწურულს აზერბაიჯანის მთავრობის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებას, რომელსაც გაზსადენის პროექტის რეალიზების გზაზე ევროკავშირში საკვანძო ქვეყნად განიხილავენ. ლაპარაკია, კერძოდ, კასპიის ზღვის შელფზე „შაჰდენიზის“ გაზის საბადოს დამუშავების კონსორციუმის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე, რომელიც აღნიშნული პროექტის რეალიზების მეორე სტადიას ეხება. საქმე ის არის, რომ ევროკავშირში დიდ იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ „შაჰდენიზის“ პროექტის განხორციელების მეორე სტადიაზე მიღებული გაზი სწორედ „ნაბუკოს“ გაზსადენით მისი წევრი ქვეყნების მომხმარებლებს მიეწოდება. ამასთან, ევროკავშირი ასევე განაგრძობს მოლაპარაკებებს ნედლეულის სხვა წყაროებიდან, კერძოდ, თურქმენეთისა და ერაყის საბადოებიდან მოზიდვის თაობაზე და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებზე ლაპარაკობენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**⦿ რეპლიკა**

## დღე ყოველი – დღე ტყუილისა

**მოგეხსენებათ – არსებობს დღეები, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შემოღებული: დღე მეხანძრისა, მეტალურგისა, მშენებლისა და სხვა მრავალი. ჩვენმა მაღალმა არასწორად მიიჩნია ეს დღეები და როგორც დიდმა რეფორმატორმა, გადაწყვიტა ყოველი დღე გამოაცხადოს ტყუილის დღედ, იმაში დარწმუნებულმა, რომ ამ მხრივ მას ვერავინ გაუწევს მეტოქეობას. ამიტომ HOMO MISHICUS-ებს არ სურთ მოისმინონ სიმართლე სახალხო დამცველისაგან და კატეგორიულად მოითხოვენ გაუქმდეს სახალხო დამცველის აპარატი.**

**ლონდა მდივანი**

**⦿ ინფორმაცია**

## სასურსათო პროდუქტებზე ფასები კვლავ გაიზრდება

**2020 წლამდე სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის ტემპი შენარჩუნდება, ამის შესახებ ნათქვამია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა და გაეროს სასურსათო ორგანიზაციის ერთობლივ მოხსენებაში.**

**ფასების ზრდის მიზეზად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლების და ბიოსათბობზე მოთხოვნილების ზრდა სახელდება.**

**მოხსენების მიხედვით, მარცვლეულზე ფასები 20 %-ით გაიზრდება, ხოლო ხორცზე 30 %-ით. მოხსენებაში აღნიშნულია ასევე ისიც, რომ სასურსათო პროდუქციის მოცულობის ზრდა არ შეესაბამება მასზე არსებულ მოთხოვნებს, რომელიც გაცილებით მეტია.**



**მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ მაღალი ფასები მიწაზე, ენერგიაზე და წყალზე ზღუდავს სასურსათო პროდუქტების მოცულობის ზრდას. არსებული პროგნოზების მიხედვით ბრინჯზე ფასები – 15 %-ით, შაქარზე – 20 %-ით, ქათმის ხორცზე – 30 %-ით, ზეთზე კი – 50 %-ით გაიზრდება.**

**სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა კი საშუალოდ წლიური 1,7 % იქნება, მაშინ როდესაც გასულ წლებში ზრდის მაჩვენებელი 2,6 % იყო.**

## შიდა პროდუქტების მაჩვენებლით 180 ქვეყანას შორის 112-ე ადგილზე ვართ

**ეკონომიკური კვლევების ცენტრ „რია-ანალიტიკის“მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველო რეგიონის ქვეყნებს შორის აზერბაიჯანს (მე-80 ადგილი) ბევრად ჩამორჩება, სომხეთს კი მხოლოდ ერთი ადგილით უსწრებს (113-ე ადგილი).**

**მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნები ყატარი (88 383 დოლარი მშპ ერთ სულზე), ლუქსემბურგი (81 383 დოლარი) და სინგაპური (56 522 დოლარი) არიან.**

**მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ამერიკა კი მე-7 ადგილზეა (47 284 დოლარი მშპ-თი თითოეულ მოქალაქეზე).**

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თეოლოგიური ომი

**აფხაზეთის პრეზიდენტის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ რესპუბლიკა ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება. ამ კამპანიის თავისებურება იქნება ის, რომ პირველად მის შედეგზე გავლენას იქონიებს არა მხოლოდ პოლიტიკური ფაქტორი, არამედ რელიგიურიც.**

ის, თუ რა გავლენას იქონიებს გათიშვა აფხაზეთის ეკლესიაში პრეზიდენტობის კანდიდატების პერსპექტივებზე, შეისწავლა ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა ოლგა ალიონოვამ.

საეკლესიო კონფლიქტი აფხაზეთში დაიწყო ჯერ კიდევ 2000 წლების დასაწყისში, როდესაც მოსკოვის სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდა ბერები დოროფეი (დბარიძ და ანდრეი (ამპარიძ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მაიკოპში ხელდასხმულები, დამკვიდრდნენ ახალ ათონში. მათ იქ შექმნეს სასულიერო სასწავლებელი, რეგენტული სკოლა, საეკლესიო გუნდი. ახალგაზრდა ბერების ავტორიტეტის დამტკიცება არ მოეწონა აფხაზეთის ეკლესიის ფაქტობრივ ხელმძღვანელს ბესარიონ აპლიას, საქართველო-აფხაზეთის ომის გმირს, რომელიც იმ დროს ლამის ერთადერთი მღვდელი იყო აფხაზეთში. მამა ბესარიონი ხელდასხმული იყო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ, მაგრამ არაერთგზის აცხადებდა, რომ აფხაზეთის სამღვდელოება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სივრცეში ვერ დაბრუნდება. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აფხაზეთის ეკლესიას საქართველოს ნაწილად, მაგრამ დე ფაქტო ყოველთვის მხარს უჭერდა მამა ბესარიონს, რომელიც ბიჭვითინთა-სოხუმის ეპარქიის ხელმძღვანელი გახდა და არსებითად ასრულებდა ეპისკოპოსის მოვალეობას. თუმცა, ეპისკოპოსად გახდომა ბესარიონ აპლიას არ შეეძლო. ამრიგად, უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში აფხაზეთის ეკლესია უეპისკოპოსოდ არსებობდა.

ახალგაზრდა ბერების გამოჩენამ, რომლებსაც ჰქონდათ უნარი წამოეყენებინათ ეპისკოპოსი თავიანთი მხრიდან, შეაშინა თავად ბესარიონიც და ხალხიც მოსკოვის საპატრიარქოში.

ბოლომდე არ არის ცნობილი, თუ რა გახდა იმ უკმაყოფილების მიზეზი, რომელშიც აღმოჩნდნენ ახალი ათონის ბერები, მაგრამ 2005 წელს, აფხაზეთის ეკლესიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სასულიერო სასწავლებელი, რეგენტული სკოლა და გუნდი დაშალეს. მამა დოროთეს შესთავაზეს წასულიყო სასწავლებლად საბერძნეთში, სალონიკის უნივერსიტეტში. ის ამას დათანხმდა, ვინაიდან შეეძლო გაეგრძელებინა თავისი სამეცნიერო კვლევები აფხაზეთის კომანის უბანში წმინდა იოანე ოქროპირის ყოფნის შესახებ.

15 მაისისთვის ახალი ათონის ბერებმა დანიშნეს საეკლესიო-სახალხო კრება,



რომელზეც შეიკრიბნენ ხალხთან ერთად, რათა განეხილათ შექმნილი სიტუაცია. ამ კრებისა შეეშინდათ როგორც სოხუმში, ისე მოსკოვშიც. „დბარი და ამპარი გამოიძახეს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე, – ამბობს გაზეთ „ნუჟნაიას“ მთავარი რედაქტორი იზიდა ჭანია. – იქ მათზე ახდენდნენ ზემოქმედებას, მოითხოვდნენ უარი ეთქვათ კრებაზე. მაგრამ ისინი თავისაზე იდგნენ. აფხაზეთის სახელმწიფო ტელევიზიამ უგულებელყო ისინი, სამაგიეროდ, გამუდმებით უჩვენებდნენ მამა ბესარიონს, რომელიც მოუწოდებდა მრევლს არ წასულიყო შეკრებაზე“.

აფხაზეთის სამღვდელოება გაითიშა საბოლოოდ და შეუქცევადად. ახლა რესპუბლიკაში ორი ეკლესიაა, რომელთაგანაც ერთ-ერთი მთლიანად არის დამოკიდებული რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაზე, მეორეს იმედი აქვს აღიარებისა გარედან. არსებითად, ეს მესამე მხარე – საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია – გახდა კიდეც პრობლემა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

ამ საეკლესიო კონფლიქტის შედეგი შეიძლება არც ყოფილიყო ასეთი მნიშვნელოვანი, ახალი ათონის მონასტერი რომ არ გამხდარიყო ერთ-ერთი გადამწყვეტი არგუმენტი აფხაზეთში ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნებზე, რაც 26 აგვისტოსთვის არის დანიშნული და დაკავშირებულია პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის გარდაცვალებასთან. პრეზიდენტის სავარძლის მთავარი კანდიდატები არიან აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი და პრემიერი სერგეი შამბა. აფხაზეთის ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს შორის არის აზრი, რომ ყოფილი მილიციონერი ანქვაბი – მკაცრი და უკიდურესად პრინციპულია, ხოლო დიპლომატი შამბა – ლიბერალი და კომპრომისული გადაწყვეტილებების მოყვარული. ამავე დროს ორივე პოლიტიკოსი, ექსპერტების შეფასებით, „ერთმნიშვნელოვნად პრორუსული“ ორიენტაციის არიან.

სოხუმში რუსეთის პრემიერის ვლადიმერ პუტინის ვიზიტმა, რაც მის სერგეი ბაღაფშთან გამოთხოვების მიზნით მოხდა და როდესაც იგი შეხვდა ორივე მემკვიდრეს, აჩვენა, რომ მოსკოვს ამჯერად არ აქვს განზრახული უკარნახოს აფხაზებს, თუ ვინ უნდა აირჩიონ.

არჩევნების შედეგებზე, ექსპერტების აზრით, გავლენას იქონიებს, უწინარეს ყოვლისა, პირადი სიმპათიები კანდიდატებისადმი. და, რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, ახალი ათონის მონასტერთან დაკავშირებულმა ისტორიამ შეიძლება შეასრულოს გადამწყვეტი როლი ამ საქმეში. პრემიერი სერგეი შამბა დიდი ხანია მხარს უჭერს მღვდელ ბესარიონ აპლიას და ცნობილია თავისი ულიარებელი დამოკიდებულებით ახალათონელ გამთიშველებთან. ჯერ კიდევ მაისში, ახალ ათონში კრების შემდეგ, მან ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ახალგაზრდა ბერებმა, „რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ საზღვარგარეთიდან უცნობი მიზნებით“, უკანონოდ დაიპყრეს მონასტერი და არ თმობენ მას, ხელისუფლებას განზრახული აქვს მათი სასამართლოზე გადაცემა.

ცნობილი აფხაზი ბლოგერი ახრა სმირი მიიჩნევს, რომ ახალი ათონის ბერებისადმი წაყენებული ულტიმატუმი მოწმობს იმის შესახებ, რომ პრემიერი შამბა შეტევაზე გადავიდა და კონფლიქტის გაჩაღებით ცდილობს, ჩართოს მასში კონკურენტი ალექსანდრ ანქვაბი.

ვიცე-პრეზიდენტ ანქვაბს დღემდე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია ახალი ათონის მღელვარებაზე. თუ, რასაკვირველია, არ მივიჩნევთ დბარის გამოძახებას უშიშროების საბჭოზე.

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ბერების გამოყრა ახალი ათონის მონასტრიდან შეუძლებელია. „მოსკოვმა უნდა გაიგოს, – მიაჩნია გაზეთ „ჩეგენსკაია პრავდას“ რედაქტორს ინალ ხაშიგს, – რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა – ეს ბუტაფორია როდია, ეს არის რეალობა, მისთვის აფხაზებმა დიდი საფასური გადაიხადეს და იგი დიდი ხანია არსებობს, მოსკოვის მიერ აღიარებისგანაც კი დამოუკიდებლად. არის ამბები, რომლებსაც აფხაზეთი არასოდეს არ დათმობს“.

Коммерсант

# რატომ იმსახურებს საქართველო ევროპის მხრიდან მეტ აღიარებას

**საქართველოს პრეზიდენტის შეცდომები არ უნდა გამოვიყენოთ საბაბად ამ პროდასავლური ქვეყნის უგულებელყოფისთვის.**

თვალების ციმციმით, გაზმორებითა და მთქნარებით ევროკავშირი, ბოლოს და ბოლოს, იწყებს იმის შეგნებას, რომ ორგანიზაციის გაფართოება დასავლური ბალკანეების მხრით გადაუდებელი პრიორიტეტია. ხორვატია მალე მიუერთდება ევროკავშირს, სერბია იქნება შემდეგი, შემდეგ კი შეიძლება იყოს ჩერნოგორია, ამის შემდეგ, დროის გარკვეული პერიოდის გავლასთან ერთად – ალბანეთი, ბოსნია, მაკედონია და კოსოვო. ეს ყველაფერი დიდ დროს წაიღებს, მაგრამ ყოველი ახალი წევრის მიღების შემდეგ დარჩენილები სულ უფრო ანომალიურად დაიწყებენ მზერას. ასევე მიიჩნევა, რომ მოლდოვის სტატუსი, რომელიც შავ ზღვაზე შავ ხვრელად იყო მიჩნეული, შეიძლება მალე შეიცვალოს, თუმცა ინსტიტუციური პროცესები ჯერ კიდევ ვერ დაეწია ახალ პოლიტიკურ ვნებას, რომელმაც უკვე მონახა თავისი გამოხატულება.

ეს რეგიონი, უეჭველია, ბევრ საფიქრალს უჩენს პოლონეთს, რომელსაც ამ ნახევარი წლის განმავლობაში ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტი უკავია. ვერავინ დააბრალებს ჩინოვნიკებს და პოლიტიკოსებს ვარშავაში, თუ ისინი ვერ შეძლებენ ახალი სიცოცხლე მიანიჭონ იმ ქვეყნებს, რომლებიც აღმოსავლეთით მდებარეობენ, ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ბელარუსი და უკრაინა.

მე ყველაზე მეტად მაღელვებს ის, რომ ევროკავშირი დაივიწყებს საქართველოს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ევროპულმა დიპლომატიამ ბევრი სარგებლობა ვერ მოუტანა ქვეყანას. მან გააწბილა პოლონელები, გააბრაზა გერმანელები და დაკარგა სიმპათიები ბევრს სხვა ქვეყანაში, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს. გასულ თვეში კოსოვოს პრეზიდენტი ბარაკ ობამასთან ერთად ვარშავაში ვახშამზე მიიწვიეს. სააკაშვილს მიწვევა არ მიუღია. ეს კარგად გამოკვეთილი შეურაცხყოფა იყო.

წავიდა ის დრო, როდესაც საქართველოს ლიდერი ევროატლანტიკური გაერთიანების საყვარელი რეფორმატორი იყო, ცალი ხელით ანადგურებდა კორუფციას, მეორით კი ანვითარებდა ინფრასტრუქტურას. ამავე დროს ცდილობდა გამოეყენებინა მსუბუქი ძალები, რათა დაებრუნებინა ლოიალობა იმ ხალხისა, რომლებიც ცხოვრობენ სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის გამოყოფილ ტერიტორიებზე.

საქართველოს მიღწევები იმ მომენტისთვის მართლაც რამდენადმე გადაჭარბებული იყო, მაგრამ დღეს ეს ყველაფერი შეიძლება უსამართლოდ შემცირებულიც კი აღმოჩნდეს. რეაქცია ოპოზიციის პროტესტებზე, რომლებიც უკანასკნელი კვირების განმავლობაში გაიმართა, იყო სანიმუშო (ადამიანის მსხვერპლი გახდა კონვოის გაუფრთხილებელი ტარების შედეგიძ. ხელისუფლებამ 2007 წლის ნოემბრის შემდეგ ბევრი რამ ისწავლა, როდესაც ომონი გაგზავნეს თავის არახელსაყრელ სამაუწყებლო კომპანიებში. რადიკალური ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადების მიუხედავად, საქართველო – არ არის დიქტატურა. მისმა ეკონომიკამ, გასაოცრად, გადაიტანა ომიც, შესუსტების ბევრი მცდელობებიც, მათ შორის, სისტემატური კამპანიებიც აფეთქებებისა და შავი პიარებისა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. თუ გსურთ იხილოთ საბაზრო, მრავალპარტიული, წარმატების სამართლიანი ისტორია, საქართველოს შემდეგ ეს გაჩერება – სამხრეთი კორეა იქნება.

დაგვიანებით, მაგრამ საქართველოც უბრუნდება გონივრულ ურთიერთობებს რუსეთის ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებთან: უვიზო რეჟიმი და შესაძლებლობა მიიღონ კარგი უმაღლესი განათლება, რომლებსაც სთავაზობენ იქ მცხოვრებ ხალხს, და რაც ზიანს აყენებს კრემლის პროპაგანდას. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ცუდად მართავს რუსეთი რეგიონს, აგრეთვე მოზობოქრე მხარის ნამდვილ ვულკანად ქცევის საფრთხე, პროდასავლური ქვეყნის – საქართველოს სახე, რომელიც ცდილობს, იყოს სტაბილურობის, აყვავებისა და კეთილმეზობლობის დამკვიდრების ნიმუში, მეტ აღიარებას იმსახურებს.

იმათაც კი, ვისაც არ შეუძლია აპატიოს საქართველოს პრეზიდენტს მისი შეცდომები (მათ შორის იმპულსურობა, მრჩევლების ცუდი შერჩევა და თავისი ტრაბახიძ, არ უნდა დასაჯონ მთელი ქართველი ხალხი მისი ლიდერის ნაკლოვანებების გამო. განსაკუთრებული სკანდალური იქნებოდა, მაგალითად, რომ მოხდეს რუსეთთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია მანამ, სანამ ეს საქართველოსთან არ მოხდება.

წარსულში საქართველოს ევროპული დამცირება ბათილდებოდა ამერიკული სიყვარულით. მაგრამ, როგორც ასე მწუხარებით შენიშნა გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების გადასადგომად გამზადებულმა თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა, ამერიკის შეერთებული შტატების ვალდებულებანი ევროპაში არ უნდა განადგურდეს აპათიით, სიხარბითა და გულგრილობით სავარაუდო მოკავშირეების მხრიდან. საქართველო არ არის ალიანსის წევრი, მაგრამ ატარებს მის სირთულეებს სიხარულით, ღირსეულად (როგორც, მაგალითად, შვედეთი, თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიააძ. მაგრამ ეს შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი, რათა მომავალში შეინარჩუნოს ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღება. საქართველოს უგულებელყოფა წაქეზება იქნებოდა რუსეთისთვის, რომელსაც მოსწონს, როდესაც შეუძლია დადოს გარიგებანი ევროპასთან არახელსაყრელი პატარა ქვეყნების ზურგს უკან. არ არის საჭირო ამ საზიზღარი პრეცედენტის შექმნა.

EuropeanVoice.com

## დედამიწის ზურგზე



**მის აშშ-2011 წელი: აირჩიეს ამერიკის ყველაზე ლამაზი ქალიშვილი**

სილამაზის დედოფლად აღიარეს 21 წლის მოდელი ალისა კამპანელა კალიფორნიიდან. პირველ ათეულში შევიდნენ ქალიშვილები ტენესიდან, ალაბამიდან და ტეხასიდან. კონკურსი მესამოცედ გაიმართა. მაყურებლებმა პირველად შეძლეს, მიეღწიათ გავლენისთვის შედეგებზე ინტერნეტში კენჭისყრის დახმარებით.

* * *

**„წარუმატებელ სახელმწიფოთა“ რეიტინგი: რუსეთი თანდათან ამოდის ორმოდან**



თუ 2010 წელს რუსეთს მე-80 ადგილი ეკავა სამარცხვინო ასეულში (პირველი ადგილი მასში სომალის ეკავა), ახლა ის უკვე 82-ე ადგილზეა. პირველ ათეულშია აგრეთვე ერაყი, ავღანეთი, ჰაიტი, ზიმბაბვე. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან უარესი ქულები აქვთ ყირგიზეთს, უზბეკეთსა და ტაჯიკეთს.

* * *

**ნატოში პირველად იკისრეს პასუხისმგებლობა ტრიპოლიში მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვაზე საავიაციო დაბომბვისგან**



ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა აღიარა მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის ფაქტი საჰაერო დარტყმის შედეგად ლიბიის დედაქალაქში საცხოვრებელ სახლზე. უფრო ადრე მოამარ კადაფის რეჟიმმა ბრალი დასდო ნატოს იმ სახლების განზრახ დაბომბვაში, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს. ხელისუფლების მონაცემებით, კვირას 9 კაცი დაიღუპა.

* * *

**ნიგერიელმა ისლამისტებმა დახვრიტეს კარტის მოთამაშეები: დაიღუპა 2, დაიჭრა 5 კაცი**

ნიგერიის ჩრდილოეთში კარტის თამაში – მეტად გავრცელებული მოვლენაა. მაიდუგურში, მაგალითად, სადაც ერთ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, ახალგაზრდობა ხშირად სადილის შემდეგ იკრიბება ქუჩებში კამპანიებად, რათა წაითამაშონ ერთორი პარტია კარტი.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ გასულ შაბათს „კინოს სახლში“

# მასხარას თავგადასავალი

**წესით, მასხარამ უნდა გვაცინოს და გვამხიარულოს, არა? მაგრამ, პირიქით მოხდა იმ დარბაზში, სადაც ეკრანიდან ჩვენი ძვირფასი კახი კავსაძე თავისი ცხოვრების ისტორიას გვიყვებოდა.**



სხვათა შორის,თავიდანვე განაცხადა ძვირფასმა კახიმ, რომ მე არტისტი ვარ და ყველა არტისტი მასხარააო, მაგრამ, რა დროს მასხარობა იყო, შაბათს „კინოს სახლში“ შეკრებილი უამრავი მაყურებელი **ნანა ჯანელიძის** ფილმისა **„ნეტავი იქ თეატრი არის?!“** პოპულარული მსახიობის **კახი კავსაძის** ოჯახის დრამატულ ეპიზოდებს გასუსული იზიარებდა, ხოლო სინათლე რომ აინთო, ზოგი თვალზე ცრემლსაც იმშრალებდა.

ღმერთო, როგორ მოგვითხრობს, როგორ განიცდის დროს, ადამიანებს უამრავი დავიდარაბის გადამტანი კაცი, კავსაძეთა გვარის ერთ-ერთი სახელოვანი მოჭიკანი, როგორ გვიყვება გარდასულ ეპოქაზე, სადაც სანდრო კავსაძე მოჩანს — დიდი სტალინის სემინარიელი ძმა და მეგობარი, რომელსაც, მიუხედავად სიახლოვისა, არაფერი აპატია პროლეტარიატის დიდმა ბელადმა — კახი კავსაძის მამას — დათაშკა კავსაძეს ზანაკებში მთელი ევროპა მოატარა, მერე კი ცოლ-შვილთან ნორმალური გამომშვიდობებაც არ აცალა...

ჰყვება კახი კავსაძე თავისი (დათაშკასძ ოჯახის ისტორიას, არაფერი რჩება უთქმელი, იგი დიდი ოსტატობით მოგვითხრობს, თუ რა გადაიტანა დედის ამარა დარჩენილმა ოჯახმა...

ჰყვება კახი, მისი ხმა, მისი იმპროვიზაცია, მაყურებლისადმი მისი დამოკიდებულება ნაღდია, უზადოა და სულითა და გულით მასთან ვართ... მრავალტანჯული ოჯახი, მრავალტანჯული დედა, ასე განწირული ისა და მისი ძმა იმერი — ციცქნა ბიჭები, ოჯახს, დედას, ოდნავ იმედს რომ უსახავდნენ გულში... ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა... გაამართლეს დათაშკა კავსაძე. თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა და რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოვიდა (რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდაძ კახი კავსაძე, ეწვია განუზომელი სიყვარული, იგემა მაყურებელთა დაფასება და დღეს „მასხარა“, ქართული თეატრისა და კინოს მოყვარულთა ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობია... ასევეა იმერი კავსაძეც — შესანიშნავი საოპერო მომღერალი...

დიდ აკაკი ვასაძეს სიკვდილის წინ თვალები ჭერისთვის მიუპყრია და უთქვამს: „ნეტავი იქ თეატრი არის?!“

ამთავრებს კახი კავსაძე თხრობას და ირონიულად გახედავს ზემოთ: „ნეტავი იქ თეატრი არის?!“

ვინ იცის... ფაქტი ის არის, შესანიშნავი მსახიობი და მამულიშვილი ვალმოხდილია მამა-პაპათა წინაშე...

გმადლობთ, ქალბატონო ნანა ამ მართალი ფილმის შექმნისთვის და ღმერთს ვთხოვოთ, ჯანმრთელად გვიმყოფოს ჩვენი კახი, რომელიც ამჟამად ავადაა, გერმანიაშია საოპერაციოდ და შაბათს ფილმის პრემიერას ვერ ესწრებოდა.

აი, ტაში მაშინ გენახათ მაყურებელთა დარბაზში!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ კვალი ნათელი

# ასი წლის დავით სარაჯიშვილი

**ცნობილი მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის ღვაწლი საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანია. მისმა საგვარეულომ ჩვენს ერს მრავალი თვალსაჩინო ადამიანი მისცა მრეწველობის, ტექნიკის, ლიტერატურის, მედიცინისა და სხვა დარგში. ამ საგვარეულოს ბრწყინვალე წარმომადგენელია დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი. მიუხედავად თავისი არც თუ ხანგრძლივი ცხოვრებისა (63 წელი), მან წარუშლელი კვალი დატოვა.**



დაიბადა თბილისში 1848 წლის 28 ოქტომბერს. 1866 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, სულ მალე კი მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილეიანეს სახელობის უნივერსიტეტში ლექციებს უსმენდა.

1871 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიაში. ჭეშმარიტი თბილისელი მოქალაქე ცოდნითა და გამოცდილებით ყოველთვის გვერდით edga ქალაქის სასარგებლოდ წამოწყებულ ყველა საქმეს. სად არ ტრიალებს ამ ჭეშმარიტად სულმნათი ადამიანის სული.

დავით სარაჯიშვილის შრომისუნარიანობამ, მისმა დიდმა საქმემ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მასთან მომსახურე ქართველებზე, ბევრმა მათგანმა მისი გზა გააგრძელა.

მისი გარდაცვალების შემდეგ ზუსტად 100 წელი გავიდა. სწორედ მისი ხსოვნის საპატივცემულოდ არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღონისძიება გაიმართა.

დავით სარაჯიშვილი გახდა ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო მასშტაბის ქართველი ბიზნესმენი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ეკონომიკურ და სულიერ გაძლიერებაში. იგი ერთ-ერთი იყო იმ ქართველთაგან, რომელმაც უცხოეთში მიიღო განათლება და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

დავით სარაჯიშვილის საქმიანობა, ძირითადად, ასოცირდება ქველმოქმედებასთან. მან ბევრ ქართველ ახალგაზრდას მისცა საშუალება, მიეღო განათლება უცხოეთში, ბევრს დაეხმარა სწავლის დასრულებაში.

სამწუხაროდ, დღევანდელი საზოგადოება ნაკლებად იცნობს დავით სარაჯიშვილის საქმიანობას და ქველმოქმედების იმ მასშტაბებს, რომლითაც მისი საქმიანობა ხასიათდება. ამ საიუბილეო საღამოს ერთ-ერთი მიზანიც ხომ ესაა — მომავალმა თაობამ უკეთ გაიცნოს დავით სარაჯიშვილი.

**ირინა ოზოლაშვილი**

◎ ინფორმაცია

### რიკოთზე კიდევ ერთი დაღუპული იპოვეს

**მაშველებმა რიკოთის უღელტეხილზე მეწყრის ჩამოწოლის შედეგად დაღუპული კიდევ ერთი ადამიანის ცხედარი იპოვეს. ისიც, სავარაუდოდ, რესტორან „რიკოთის“ თანამშრომელია, რომელიც ნიაღვარმა წაიღო. ამ დროისთვის დაკარგულად ითვლება ერთი მოქალაქე.**

### მეწყერი ლენტეხშიც ჩამოწვა

**ლენტეხის რაიონში ძლიერი წვიმის გამო, რამდენიმე სოფელში მეწყერი ჩამოწვა.**

**მეწყერმა რაიონამდე მისასვლელი გზები ჩაკეტა. ამ დრომდე ვერ ხერხდება გაწმენდითი სამუშაოების დაწყება ლენტეხის ზემო სოფლებში. მეწყერს მსხვერპლი და სახლების ნგრევა არ მოჰყოლია.**

### ხობში წვიმამ ხუთი სოფელი დააზიანა

**გადაუღებელმა წვიმამ პრობლემები შეუქმნა ხობის რაიონის 5 სოფლის მოსახლეობას.**

**მდინარე ხობისწყალმა მოსახლეობის კუთვნილი სავარგულები, სათბურები და საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები დატბორა. დახოცილია მსხვილფეხა საქონელი. ადგილზე მობილიზებულია შესაბამისი სამსახურები.**

### სტიქიამ მილიონობით გვაზარალა

**სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის რაოდენობა 10 მილიონ ლარს აჭარბებს, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა რიკოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღდგენითი სამუშაოების მონახულებისას განაცხადა.**

**გილაურის თქმით, სურამიდან რიკოთის გვირაბამდე გზის მონაკვეთი 25 ადგილზე არის დაზიანებული. — ძალიან რთული მონაკვეთია გზის ის ნაწილი, რომელიც დაზიანდა. მთლიანობაში 25 მონაკვეთია დაზიანებული. ჩვენ ავიყვანეთ კომპანიები და მათ სამუშაოები გაუნაწილდათ. სავარაუდოდ სამ დღეში დასრულდება პირველადი აღდგენითი სამუშაოები. 14 დღეში გზა დაუბრუნდება იმ პირველად მდგომარეობას, რომელიც აქამდე იყო. სურამში და ჩუმათელეთში მიმდინარეობს ზიანის აღწერა, — განაცხადა გილაურმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ XX საუკუნის საიდუმლოებანი

# ბრძოლა... ჯადოსნებისთვის

**კოლის ნახევარკუნძულზე ექსპედიციის დროს რუსეთელმა მეცნიერებმა... აეროდრომის კვალს მიაგნეს, რომელიც გერმანელებმა მეორე მსოფლიო ომის დროს... მფრინავი თეფშების გასაშვებად ააშენეს. მათ ასევე დაადგინეს, რომ ნაცისტები იყენებდნენ ადგილობრივ ჯადოსანთა — ნოიდების შესაძლებლობებს. აი, რას ჰყვება ექსპედიციის შესახებ მისი ხელმძღვანელი ერნსტ მულდაშევი.**

— ჩემი აზრით, გერმანელთა მფრინავი დისკოები დღემდე ინახება მთა ლიინაჰამარის მახლობლად დანაღმულ ბუნკერში. სავსებით ბუნებრივია, რომ უკან დახევისას გერმანელებმა გაანადგურეს ყველაფერი, რაც ამ ექსტრავაგანტურ ტექნოლოგიას ეხებოდა, — ამბობს მეცნიერი. — მფრინავი დისკოების გამომგონებელი ვალტერ შაუბერგერი ომის შემდეგ, თურმე, ცოცხალი გადარჩენილა. ამერიკელებმა მას გამოგონების აღდგენა და საამისოდ ყველა პირობის შექმნა შესთავაზეს. თუმცა შაუბერგერმა წინადადებაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ საფრენი დისკოს აგებას ის კი შეძლებს, მაგრამ ის არ იფრენს, რადგან **ყველა ჯადოსანი და მისტიკოსი, რომელიც თავიანთი შელოცვებით წყლისა და მიწის ენერგიას ამოქმედებდა, დიდი ხნის წინათ საკონცენტრაციო ბანაკ მაუტჰაუზენში დახოცეს...** ტყუილად როდი ერქვა შაუბერგერის ტექნოლოგიას „მაგიური ტექნოლოგია“.

იკითხავთ, თუ როგორ ახერხებდნენ ჯადოსნები მფრინავ დისკოზე ზემოქმედებას? უნდა ითქვას, რომ მთა ლიინაჰამარი, როგორც აეროდრომისთვის ერთობ გამოსადეგი ადგილი, თავად მისტიკოსებმა შეარჩიეს. თანაც მათვე უკარნახეს შაუბერგერს წყლით ძრავის მუშაობის პრინციპი, დაეხმარნენ საფრენი დისკოს მახასიათებლების, ასევე წყლით სავსე ბეტონის „წრეთა“ კონსტრუქციის შემუშავებაში. ბეტონის ოთხიდან თითოეული კომპლექსი, როგორც ჩანს, ექსპერიმენტულ მოდელს წარმოადგენდა, რომელთა აგება საუკეთესოს შესარჩევად იყო აუცილებელი. შემდგომ კი, ჩვენი ჰიპოთეზით, საქმე ასე ვითარდებოდა.

**როგორც კი საფრენ აპარატს ერთ-ერთ ბეტონის წრეზე დადებდნენ, ელექტროგენერატორები ირთვებოდნენ, რომლებიც მის ძრავასა და ბეტონიან წრეებში წყალს აამოქარებდნენ.** ამ დროს მისტიკოსები ლოცვებს კითხულობდნენ, რომლებიც, უწინარესად, წყლის ენერგიაზე იყო მიმართული, თანაც წყალი თავისით იწყებდა ბრუნვას. ამის შემდგომ მისტიკოსები კითხულობდნენ შელოცვებს, რომლებიც მიწის ენერგიაზე იყო მიმართული, ეს უკანასკნელნი წყლის გავლით საფრენ აპარატში შედიოდნენ, რომელსაც შემდეგ უსწრაფესად შეეძლო ნებისმიერ ადგილას გაფრენა.



კიდევ ერთი საკითხი ის არის, თუ რატომ მისცეს მისტიკოსებმა თავიანთი ტექნოლოგიები ჰიტლერელებს და არა საბჭოთა სპეციალისტებს? პასუხი, როგორც ჩანს, იმაშია, რომ სსრ კავშირის ნკვდ-ს სპეცგანყოფილება გერმანელთა „მისტიკურ ორგანიზაციას“ „ანენერბზე“ სუსტი გამოდგა, რომელიც იმავე ფუნქციებს ასრულებდა. მარტო ამ სპეცგანყოფილების უფროსი გ.ბოკი რად ღირს, რომელმაც სსრ კავშირში ერთ-ერთი პირველი საკონცენტრაციო ბანაკი სოლოვკი შექმნა, სადაც 1927 წლიდან მოყოლებული მისი მითითებით თეოსოფოსები, მისტიკოსები, უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული ათიათასობით სხვა ინტელიგენტი დახოცეს. ეს კაცი გონს მხოლოდ 1933 წელს მოეგო, როცა შეიტყო, რომ „ანენერბე“ აქტიურად ამუშავებდა თავისი საჭიროებისთვის მისტიკოსებს, რომლებსაც მთელ მსოფლიოში დაეძებდა, რათა მათ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით სამყარო შეეცვალათ. თუმცა უკვე გვიანი იყო — **მისტიკოსები, ჯადოსნები, შამანები, ნოიდები და სხვები ამ დროისთვის სსრ კავშირში უკვე მთლიანად განადგურებულები იყვნენ.**

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისტიკური და თეოსოფიური საზოგადოებები, რომლებიც შელოცვების ძალას ემყარებოდნენ, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთვის უკვე გრძნობდნენ თავიანთი დასასრულის მოახლოებას. გარდა ამისა, როგორც ჩანს, მისტიკების გადაწყვეტილებაზე თავიანთი იდუმალი ცოდნის გამხელის თაობაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა „ანენერბეს“ სპეციალისტების უდიდესმა პროფესიონალიზმმა, თუმცა, როგორც ვხედავთ, მისტიკოსები ვერც ამან იხსნა, რადგან ნაცისტებს არ სურდათ, რომ იდუმალი ცოდნა კომუნისტების ხელში მოეხვედრებინა... ამდენად, **გამოდის, რომ მისტიკოსთა მთელი ცოდნა მათთან ერთად სამუდამოდ გაქრა.**

**დავით მერიშვილი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### რაგბი

## მეორე ადგილს დასჯერდნენ

**შპი-ს ერთა თასის გათამაშების ბოლო ტურში საქართველოს მორაგბეები ბუქარესტში ნამიბიელებს დაუპირისპირდნენ. თავიდან ნამიბიელები დაწინაურდნენ და პირველი ტაიმის მიწურულამდე შეხვედრას იგებდნენ – 15:3. შესვენებამდე ორიოდე წუთით ადრე სამხარაძემ ლელო გაიტანა და ურჯუკაშვილმაც ზუსტად გარდასახა, რითაც ქულათა სხვაობა ხუთამდე დავიდა.**

მეორე ტაიმში ბორჯღალოსნები გააქტიურდნენ – ბიგაურის ლელომ და ურჯუკაშვილის რეალიზაციამ ჩვენები დააწინაურა – 17:15. ამის შემდეგ ნამიბიელებმა ერთი ჯარიმა გაიტანეს, რომელსაც ქართველებმა ორით უპასუხეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც – 23:18. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: პორტუგალია – სამხრეთ აფრიკის „კინგზი" 12:39, რუმინეთი – არგენტინა 13:37. ერთა თასი სამხრეთაფრიკელებმა მოიპოვეს, ბორჯღალოსნები მეორე ადგილზე გავიდნენ. სატურნირო მდგომარეობა: 1. სამხრეთ აფრიკა (13ქ, 2. საქართველო (8ქ, 3. არგენტინა (7ქ, 4. ნამიბია (6ქ, 5. რუმინეთი (5ქ, 6. პორტუგალია (5 ქულა).



### ჭადრაკი

## საგზურები გაინაწილეს

წლეულს აგვისტოში ინდოეთი 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობას (მსგავსი ტურნირი ევროპაში არ იმართება) უმასპინძლებს. ამ შეჯიბრების 2 საგზურის მოსაპოვებლად 31 გოგონა და ვაჟი ეცილებოდა ერთმანეთს. შვეიცარიული სისტემით გამართული 9 ტურის შემდეგ გოგონებში 8 ქულით ჩემპიონობა დიდოსტატმა ქეთი წაწალაშვილმა მოიპოვა და ინდოეთის საგზურიც მას ერგო. ამდენივე ქულას მოუგროვა თავი მერი არაბიძემ, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი დაიკავა. 6,5 ქულით ბრინჯაოს მედალი ანა შამათავამ დაიმსახურა.



ვაჟებში 8 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა დავით ბენიძე. მსოფლიოს პირველობაზე წაწალაშვილთან ერთად სწორედ ის გაემგზავრება. გამარჯვებულებს ქულანახევრით ჩამორჩა დავით ლომსაძე, 5,5 ქულით მესამეზე მამუკა ქორჩაკიძე გავიდა.

**ლაშა დიდია**

### ჩოგბურთი

## ბაქშის დუბლი



**გასულ უქმეებზე ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა თბილისის თასის გათამაშება. საერთაშორისო ტურნირში 10 ქვეყნის 120 წარმომადგენელი მონაწილეობდა. განსაკუთრებით 14 წლის თბილისელმა ალექსანდრე ბაქშიმ იყოჩაღა: თანატოლებში მან ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია, მათ შორის ფინალში – აზერბაიჯანელ აიხან მანაფლის (6:3, 6:1) და პირველი ადგილი დაიკავა. მანვე წყვილებში 16-წლიანთა შორის ალექსანდრე დავლიანიძესთან ერთად მოიპოვა მთავარი პრიზი – გადამწყვეტ პაექრობაში ჩვენებურებმა მიქაელ ავეტისიანსა და სურენ ბაღდასარიანს აჯობეს – 7:5, 6:4.**

თბილისის თასის გათამაშებაზე, ასევე, პირველ ადგილებზე გავიდნენ: 16-წლიანებში – ანი მოგვაძე, გიორგი ჯავახიშვილი, ბარბარე ერისთავი და ეკატერინე ლასარეიშვილი (წყვილებში), 14-წლიანებში – ვალერია ურზუმოვა, ტიმურ იგამბერდიევი – აიხან მანაფლი და მარიამ ბოლქვაძე – ქრისტინე გეგეშიძე.

თბილისის თასზე მოასპარეზენი დღეიდან თელავში „რენას და დათოს თასის" გათამაშებაში ჩაებმებიან.

**გივი გაგუა**

### სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომა

## ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!..



**საქართველოს დედაქალაქი 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის კარგა ხანია მზადება დაიწყო არა მარტო სპორტული ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის წესრიგში მოსაყვანად, არამედ იმ ახალგაზრდა ათლეტთა შესარჩევად, რომლებიც საკუთარ კედლებში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ. ძალთა ერთგვარ დათვალიერებას წარმოადგენდა თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური ცენტრის (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) პირველობა სპორტულ ტანვარჯიშსა და ბატუტზე ხტომაში.**

სამწუხარო ფაქტია, რომ გოგონათა ტანვარჯიში ათი წელია ჩამკვდარია საქართველოში, არადა ყველას ახსოვს ქართველი ტანმოვარჯიშე ქალების წარმატებები მსოფლიო არენაზე. უკვე ერთი წელია, რაც ფუნქციონირება დაიწყო ჩვენს ცენტრში გოგონათა ჯგუფმა. გათვლილი გვაქვს გოგონებზე 2015 წლის ახალგაზრდულ ფესტივალში მონაწილეობის მიღება, სამწუხაროდ ორი გოგონა ამ შეჯიბრებაზე არ გამოვიდა, მაგრამ შეჯიბრებას ეშხი არ დაუკარგავს და სათანადო დონეზე ჩატარდა. და საერთოდ მონაწილეთა ასეთი რაოდენობა ტანვარჯიშის შეჯიბრებას კარგა ხანია არ ახსოვს.

– ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ის არის, რომ ბოლო დროს ტანვარჯიშის გეოგრაფია იზრდება, – გვითხრა **როზა ბერიკაშვილმა**. – დასტურად მარტვილში გახსნილი სექციის დასახელებაც გამოდგება. ცენტრის ღია პირველობაზე, ამჯერად მარტვილელი გოგონებიც გვესტუმრნენ. მართალია, საპრიზო ადგილებზე ვერ გავიდნენ, მაგრამ ეს არც გაგვკვირვებია, რადგან ისინი ახლა დგამენ დიდ სპორტში პირველ ნაბიჯებს და, ცხადია, ოსტატობა და გამოცდილება აკლიათ. ასევე რვა გოგონა გამოიყვანა 45-ე საჯარო სკოლის მწვრთნელმა შოთა აზარაშვილმა, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს. იგივე ითქმის გორელ ბიჭებზეც, რომლებმაც ჩვენი ასპარეზობა დაამშვენეს. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ტურნირზე ჩამოსვლა ვერ მოახერხეს ბათუმელმა და ქუთაისელმა ტანმოვარჯიშეებმა. რაც შეეხებათ ბატუტზე მხტომელებს, ცენტრის პირველობა მათთვის ერთგვარი რეპეტიცია იყო საერთაშორისო ტურნირის წინ, რომელსაც 10-11 ივლისს ბათუმი უმასპინძლებს. 25-26 ივნისს ჩატარდება ჩვენივე ცენტრის ღია პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში და ეს იქნება ერთგვარი რეზიუმე ჩვენი მუშაობისა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დავაჯილდოვეთ, არც სხვები დაგვიტოვებია გულნაკლული, ცხადია, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში.

ერთიც მინდა დავძინო: დარბაზში ნაირსიმაღლის ორძელი და თავისუფალი ვარჯიშის ფიცარნაგი არ გვაქვს. სპორტის სამინისტრო და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეგვპირდნენ მათ შეძენას და იმედი გვაქვს ამ დანაკლისის შევსების შემდეგ ჩვენთან სპორტსმენთა დაოსტატების დონე საგრძნობლად ამაღლდება. ვეცდებით, თბილისის ოლიმპიურ ფესტივალზე გულშემატკივრები გავახაროთ...

ახლა კი სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური ცენტრის ღია პირველობის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გაგაცნობთ.

**ბატუტზე ხტომა. სპორტის ოსტატის პროგრამით. გოგონები.** 1. ნანა გოგაშვილი, 2: თინათინ ჩადუნელი, 3. მარიამ მწითური, **ვაჟები.** 1. ზურაბ ნოზაძე, 2. ლაშა გაბაშვილი, 3. ირაკლი ბეიტრიშვილი. **ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. გოგონები.** 1. ნათია მწითური, 2. ნატა ჩადუნელი, 3. ქრისტინე სორდია. ვაჟები. 1. გიორგი ავლოხაშვილი, 2. ნიკა ჯალაბაძე, 3. გიორგი ნაცვლიშვილი.

**სპორტული ტანვარჯიში. ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. ვაჟები.** 1. გიორგი ძიძიკაშვილი, 2. საბა აბესაძე; **I თანრიგის ვაჟები.** 1. ბიძინა სიჭინავა, 2. ივანე ჯიმშელეიშვილი, თემურ გორგაძე. **პირველ თანრიგოსან გოგონათა** შორის თამარ გელდიაშვილი და ნანა ჩაკვეტაძე.

**ლექსო ცინცაძე**



გიორგი ძიძიკაშვილი



თამარ გელდიაშვილი

### ნებისყოფა

## უხელო მშვილდოსანი ოლიმპიადას უმიზნებს

**რაგინდ, უცნაურად მოგეჩვენოთ, აიოვას შტატის 29 წლის მცხოვრები ბეტ შტუცმანი, უხელებოდ რომ დაიბადა, აპირებს ლონდონის 2012 წლის ზაფხულის პარალიმპიურ თამაშებში მონაწილეობას. ის აშშ**




**ეროვნულ ნაკრებთან ერთად ახლა იტალიაშია საწვრთნელ შეკრებაზე.**

როგორც ამბობენ, შტუცმანი ფლობს მშვილდის სროლის უნიკალურ ტექნიკას – იარაღი მას ფეხებით უჭირავს. მწვრთნელთა აზრით, ეს მას უპირატესობას ანიჭებს ჩვეულებრივ ათლეტებთან შედარებით, რადგან ის გაცილებით მტკიცედ უკავია.

შტუცმანმა მშვილდი პირველად 16 წლისამ დაიკავა ხელში და მას შემდეგ არაერთხელ გაუმარჯვია თავის „ნორმალურ" მეტოქეებთან პაექრობაში.

ის ბავშვობიდანვე მიეჩვია მხოლოდ ფეხებით იმის გაკეთებას, რასაც სხვები ხელებით აკეთებენ. მას დაჰყავს სპეციალურად აღჭურვილი მოტოციკლეტი და სერიული მანქანა, თანაც მათ არ აწერიათ, რომ „საჭესთან ინვალიდია".

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## ჩვენი კარაბადინი

### ჩვენი თანამემამულის უნიკალური ოპერაცია



**მიმდინარე წლის 19 მაისს ა.ნ.ბაკულევის სახელობის საავადმყოფოში ჩვენმა თანამემამულემ, სახელგანთქმულმა ქირურგმა ლეო ბოკერიამ, პირველად მსოფლიო პრაქტიკაში, გააკეთა გულის სარქველის იმპლანტაციის ოპერაცია. პაციენტი, 24 წლის ქალი დაავადებული იყო ურთულესი თანდაყოლილი გულის მანკით – ეპშტეინის ანომალიით. ოპერაციის უნიკალურობა იყო ის, რომ ბიოლოგიური სარქველი დამზადებულია ცხოველური ქსოვილისგან სპეციალურად ამ საავადმყოფოსთვის გულის ანატომიური და ფუნქციური პარამეტრების გულდასმითი გამოკვლევის შემდეგ.**

ბიოლოგიურ მასალად გამოიყენეს ხბოებისა და ღორების პერიკარდიალური ჩანთები (სპეციალური შემაერთებელი ლობურები, რომლებიც გარს აკრავს ცხოველთა გულს). ბიოიმპლანტატი სპეციალურად გამოზარდეს კონკრეტული პაციენტისთვის მისი ფიზიოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, პაციენტი თავს კარგად გრძნობს. თავად ოპერაციამ კი მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

### წამალი საჭირო არაა

**ჰოლანდიელი მეცნიერები თავიანთი გამოკვლევის საფუძველზე მივიდნენ დასკვნამდე, რომ თავის ტკივილი შემთხვევების უმეტეს ნაწილში შეიძლება შევაჩეროთ ფუტი აბების დახმარებით.** ეს მედიცინისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩენაა, ვინაიდან ადამიანების 90 პროცენტს პერიოდულად აწუხებს თავის ტკივილი. სამეცნიერო კვლევების დროს როტერდამში ერაზმის სამედიცინო ცენტრის მეცნიერებმა ისარგებლეს ამ თემაზე წინა 119 ექსპერიმენტის შედეგებით. შედეგი გამაოგნებელი აღმოჩნდა: პაციენტების 36 პროცენტი პრობლემებისგან გათავისუფლდა პლაცებოს ეფექტის – იმ ფუტი აბების წყალობით, რომლებსაც ისინი ღებულობდნენ.

### მზე გვიცავს მოტეხილობისგან

**ორგანიზმში D ვიტამინის ნორმალური დონის შენარჩუნებისთვის კანზე მზის რეგულარული ზემოქმედება გვეხმარება ხანდაზმულ ადამიანებში, განსაკუთრებით მამაკაცებში, თავიდან ავიცილოთ დაცემები და მოტეხილობები.** დიდი ხანია ცნობილია, რომ მზის სინათლე და D ვიტამინი აუცილებელია ჩვენი ფიზიკური ძალის და შემეცნებითი უნარის შენარჩუნებისთვის. ავსტრალიელმა ექიმებმა შეისწავლეს ურთიერთკავშირი D ვიტამინის დონესა და 70-90 წლის ადამიანების დაცემებს შორის. გამოსაცდელთა დაახლოებით ერთი მესამედი განიცდიდა „მზის ვიტამინის" დეფიციტს, აგრეთვე მათ ჰქონდათ დაყოვნებითი რეაქცია, მოძრაობის ცუდი ბალანსი და უარესი გონებრივი უნარი. მამაკაცებს შორის ვიტამინის უკმარისობა ყველაზე ხშირად ასოცირდებოდა ხშირ დაცემებთან და მოტეხილობებთან. მედიკოსები ხანდაზმულ ადამიანებს ურჩევენ ხშირად იყვნენ მზეზე საჭირო შემთხვევებში ანდა მიიღონ D ვიტამინის დანამატები, რათა თავი დაიცვან სახსრების დასუსტებისგან. სპეციალისტების სიტყვებით, ზაფხულში ხანდაზმულები მზეზე უნდა იყვნენ თუნდაც რამდენიმე წუთი, ზამთრობით კი – 2-3 საათი კვირაში.

### ემოციების დამბლა

**ბოტულოტოქსინი – ნივთიერება, რომელიც დამბლას აყენებს კუნთებს და რომელსაც კოსმეტოლოგები იყენებენ მიმიკური ნაოჭების კორექციისთვის – ქალებს გულგრილს ხდის.** კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერების გამოკვლევამ დაადასტურა, რომ დროებითი უუნარობა სპონტანურად გაიღიმო „ყურებამდე" ანდა იხარხარო ცრემლებამდე ბოტულოტოქსინის ინიექციის შემდეგ, მნიშვნელოვნად ამცირებს თავად სიხარულის ან ბედნიერების შეგრძნებას. ახლა გაჩნდა მონაცემები, რომ შეზღუდული მიმიკური შესაძლებლობანი გავლენას ახდენენ იმის უნარზეც, რომ გაიგო სხვა ადამიანების ემოციები და გრძნობები.

გამოკვლევის ხელმძღვანელის დევიდ ნილის აზრით, თუ ქალს არ შეუძლია მიმიკურად გამოხატოს ემოცია, ის ამისთვის მიუწვდომელი ხდება, და ქალი კარგავს უნარს, გამოიცნოს ეს ემოცია სხვა ადამიანის სახეზე. თუ კუნთების სიგნალები, რომლებიც სახიდან ტვინისკენ მიდის, შეზღუდულია, ქვეითდება უნარი არა მხოლოდ სრულად განიცადო ემოცია, არამედ წაიკითხო ან გაიგო იგი სხვა ადამიანის სახეზე. და პირიქით, რაც უფრო აქტიურია მიმიკა, მით უფრო მგრძნობიარეა ადამიანი. მეცნიერთა აზრით, ბოტულოტოქსინის სულიერი შედეგები შეიძლება თავიდან ავიცილოთ ჰელიუმის დახმარებით, რომელიც აძლიერებს მიმიკას. ის დაამუშავეს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ სირთულეები სხვა ადამიანების ემოციების ამოცნობაში ფსიქიკური განსაკუთრებულობის გამო.

### ვარჯიში მადის წინააღმდეგ

**მოძრაობით აქტიურობას შეუძლია არა მხოლოდ წონის დაკლება, არამედ გვეხმარება აღვიდგინოთ ის ნერვული უჯრედები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სიმაძღრის გრძნობაზე. ბრაზილიელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მოძრაობა ამოქმედებს მადის რეგულირებისა და წონის დაკლების პროცესს.** მკვლევართა ჯგუფმა ხოსე ბარეტო კორვახიერას ხელმძღვანელობით გამოარკვია, რომ საცდელ მსუქან ცხოველებს ფიზიკური დატვირთვის დროს ეზრდებათ განსაკუთრებული ცილების წარმოება, რომლებიც მონაწილეობენ მადის მაკონტროლებელი ლეპტინისა და ინსულინის წარმოებაში. მეცნიერების აზრით, ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს სიმსუქნის პროფილაქტიკასა და მკურნალობას – არა მხოლოდ ენერგიის ხარჯვის ანგარიშზე, არამედ ჰიპოტალამუსში სიმაძღრის სიგნალების მოდულაციის ხარჯზეც, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ გამოყენებული საკვების ოდენობის შემცირებასთან.



## რა დღეშიც ვართ!

### სეპარატისტები ჩვენს მოქალაქეებზე ნადირობენ

**ოსი სეპარატისტები საქართველოს მოქალაქეების დაკავების მიზეზად ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დარღვევის რეჟიმს ასახელებენ. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, – ზნაურის რაიონის სოფელ კოზთან 18 ივნისს საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს, ხოლო 6 – 19 ივნისს.**

**ამჟამად მათი ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ ყველა მასალა სასამართლოს გადაეცემა.**

ჯი-ეიჩ-ენი

---

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, ასოცირებული მკვლევარი, ბიოლოგიის დოქტორი

ხათუნა გაგუა

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ს.ს. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეან-გინეკოლოგის, აწ გარდაცვლილი პროფესორ ზურაბ ბიბილეიშვილის მეუღლე, სათნო და უაღრესად ღირსეული ქალბატონი

ვიოლეტა გვეტაძე-ბიბილეიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მათ შვილებს – თინა და ზურაბ ბიბილეიშვილებს და მათ ოჯახებს.

## ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

**მკითხველებს შევახსენებთ, რომ საქალაქო ნომრებს წინ დაემატება ციფრი „2".**

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი" 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქის) 04; 38-40-65, 37-78-91 (საავარიო);
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო).
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზი); 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის" ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი" 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახური); 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი).
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზი); 43-81-78 (კანცელარია).

**ყველა ზარი ხელსაყრელად**

25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი – ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033"; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღები).
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზი).
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაცია); 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა).
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება).
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარია); 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი" 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახური).
54. „ყაზტრანსგაზის" საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი" 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურა).
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგე).
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## დაიჯესტი

### ლოთობა, როგორც სამოქალაქო ვალდებულება



**სპარტანელების ცხოვრების წესის ასკეტურობა საარაკოა, მაგრამ, თურმე, ლოთები მათ შორისაც ყოფილან.** ამასთან დაკავშირებით უხუცესთა საბჭოში დიდხანს ფიქრობდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ გადაეჩვიათ ახალგაზრდები ლოთობისგან და ბოლოს მეტად ორიგინალურ მეთოდს მიაგნეს. საბჭოს დადგენილებით, ერთ-ერთი მეტად პატივსაცემი მოქალაქე ვალდებული იყო პერიოდულად დამთვრალიყო და ქალაქის ქუჩებში ბანცალ-ბანცალითა და ფეხის ბორძიკით ევლო, რათა ახალგაზრდებისთვის თვალნათლივ დაენახვებინა ამგვარი საქციელის უხამსობა.

### შორეული გეოლოგიური წარსულის... ტანკები

**ტრიასული პერიოდის დინოზავრები, რომელთა ჩონჩხების ნამარხებს ამ ხანის ნალექებში ნახულობენ, 9 მეტრის სიგრძისანი იყვნენ და 10 ტონამდე იწონიდნენ.** ამერიკის შეერთებული შტატების იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს უზარმაზარი არსებები არც ისე ტლანქები იყვნენ, როგორც ეს შეგვეძლო გვეფიქრა. მათი სხეულის აგებულების ანალიზზე დაყრდნობით მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ამ გიგანტებს საათში დაახლოებით 50 კილომეტრის (!) სიჩქარის განვითარება შეეძლოთ, ანუ თანამედროვე ტანკებს „სირბილში“ ოდნავ ჩამოუვარდებოდნენ.



### შეხედე, რა ქაჯია, ისევ ცისფერი მძივი უკეთია!..

**იქნებ ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ სპეციალისტები დაბეჯითებით მოითხოვენ ერთმანეთში არ ავურიოთ ისეთი განსხვავებული ტერმინები, როგორებიცაა „კოსტიუმი“ და „ტანსაცმელი“.**

მოდის მცოდნენი გვარწმუნებენ, რომ „კოსტიუმი“ არა მარტო შარვალი და პიჯაკია, არამედ მასში შედის ბეჭდები (მათ შორის ცხვირშიცძ, საყურე, ვარცხნილობაც კი (მაშინაც კი, როცა თავი ბილიარდის ბურთს ჰგავსძ, ასევე წოდების ნიშნები, მათ შორის სვირინგიც (რომლის წარმომავლობაც წოდებრივი განსხვავებიდან მოდის ჟამთა სიშორიდანძ. ჰოდა, კოსტიუმის ამ და სხვა ელემენტებს დროთა განმავლობაში საოცარი ცვლილებების უნარი აქვს, რომლებიც მან დაბადებისთანავე შეიძინა, უფრო სწორად კი, „დედის მუცლიდან“ დაჰყვა. მოდა არა მარტო ძველ საბერძნეთსა და რომში, არამედ, თურმე... ქვის ხანაშიც იცვლებოდა! ტროპიკული ზღვების მოდური ნიჟარა-სამკაულები, ანდა ტანსაცმლის ნახჭები, ტომიდან ტომში გადაცემით, ეკვატორიდან... პოლარულ წრემდე აღწევდნენ ისევე, როგორც ეს დღესაც ხდება. ოღონდ დღევანდელი თვეების ნაცვლად, იმ დროს ეს პროცესი საუკუნეებს, ზოგჯერ კი ათასწლეულებს მოიცავდა.



დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ მოდის ცვალებადობამ, თუმცა ამას უფრო მეტად, ალბათ, ჭირვეულობა უნდა დავარქვათ, ერთიანად გააკოტრა ერთი მეტად შეძლებული ევროპელი ვაჭარი. მან ერთ-ერთ კოლონიაში ცისფერი მძივების უზარმაზარი ტვირთი ჩაიტანა, რომელიც მის წინა ჩასვლისას იქ დიდად მოდაში იყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მგზავრობაში „დაკარგული“ დროის მონაკვეთში ადგილობრივი კეკლუცი ქალბატონები ცისფერს... წითელ მძივებს ამჯობინებდნენ!..

რაც შეეხება აფრიკელ ქალბატონთა წინსაფრებს, რომელიც მათ ერთადერთ სამოსელს წარმოადგენდა, ისინიც ხან მოკლდებოდნენ, ხან გრძელდებოდნენ – ზუსტად ისე, როგორც ეს თანამედროვე მოდის მიმდევარ ქალბატონებშია მიღებული.

### ერთი „გრიუნვალდის ბრძოლა“ წამიშალეთ, გეთაყვა!

**პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს ერთ-ერთ კოსმეტიკურ სალონს საკმაოდ სპეციფიკური სპეციალიზაცია აქვს: აქ მსურველებს სვირინგებს აცილებენ.** აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად სალონის კლიენტებს ამოსვირინგებული აქვთ ღუზა, რვაფეხა ან შიშველი ქალი. თუმცა ერთხელ მათ კაცმა მიაკითხა, რომელსაც ზურგზე მხატვარ მატეიკას მონუმენტური ტილოს „გრიუნვალდის ბრძოლის“ კოპიოს წაშლა სურდა.



## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ზეწრის გამომგონებლად ითვლება ფრანგების მეფე კარლოს დიდის დედა, რომელმაც მე-8 საუკუნის ისტორიული ქრონიკების თანახმად, სახელმწიფო საქმეებით დაღლილ ვაჟიშვილს ხის საწოლზე მოსასვენებლად სუფრა გადაუფარა.

● XIX საუკუნის რუსეთში სახანძრო რაზმის მეთაური ამავდროულად პოლიციის უფროსი იყო.

● სპარსეთში მას „სერაფას“ უწოდებდნენ და საპატიო სამოსად მიაჩნდათ. რუსეთში ის XVI საუკუნეში შევიდა, სახეშეცვლილი გავრცელდა და დღეს „სარაფანი“ ეროვნულ სამოსად ითვლება. მას სპარსეთისგან განსხვავებით მხოლოდ ქალები იცვამენ.

● კაცობრიობის ისტორიაში არსებობს წელი, რომელიც 455 დღეს შეიცავდა. ამის მიზეზი კი იულიუს კეისარი იყო. მას „დიდი არეულობის ან დაბნეულობის წელიწადსაც“ კი უწოდებდნენ, რადგან კეისარმა შემოიღო იულიუსის კალენდარი.

● კარგა ხანია არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია „ჯეიმს ბონდის მეგობართა კლუბი“, რომელშიც 2600-ზე მეტი ოფიციალური წევრია გაერთიანებული, დაწყებული ფიჯის კუნძულებით და დამთავრებული ესტონეთით.

● როგორც ცნობილია საფრანგეთის დროშა სამფერიანია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზოლების სიგანე დროშაზე კანონით თანაბარი უნდა იყოს, სინამდვილეში მათი შეფარდება შემდეგი პროპორციით გამოიხატება: 30:33:37 და იცით რატომ? – ასეთი პროპორციით მოცემული ფერის ზოლებს ადამიანის თვალი თანაბრად აღიქვამს.

● XVI საუკუნეში ევროპაში სახანძრო რაზმის ტექნიკური აღჭურვილობა უზარმაზარ შპრიცს ჰგავდა, რომელიც ერთ ადამიანს ეჭირა ხელში, მეორე კი დგუშს აწვებოდა.

● ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დიდ ბრიტანეთში ყველაზე პოპულარულ, გავრცელებულ სახელთა შორის მეორე ადგილზეა მოჰამედი, პირველზე ჯერჯერობით ისევ ჯეკია.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6578 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4240 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7150 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 – +29 |
| ქუთაისი. | +17 – +28 |
| ბათუმი. | +19 – +26 |
| ზუგდიდი. | +17 – +29 |
| თელავი. | +17 – +28 |

## კადრი



## ანეკდოტები

– როცა არყით დათრობის სურვილი გკლავს, იფიქრე ოჯახზე, ცოლზე, – ეუბნება პეტკა ივანიჩს.

– ეს არაფერს არ ნიშნავს და არც ცვლის: როდესაც სმას ვიწყებ, შიშის გრძნობა მიქრება.

* * *

რუსეთში იმპოტენცია პრობლემა არ არის. მამაკაცები იმ ასაკამდე უბრალოდ ვერ აღწევენ.

* * *



– ქიმიის გაკვეთილზე მიხოს მიერ ჩატარებული ცდების გამო მთელი კლასი დაზარალდა, – ამბობს მასწავლებელი მშობელთა კრებაზე.

– გავიგე, ქალბატონო!

– უკაცრავად, თქვენ მიხოს მამა ხართ?

– არა, მიხოს მშობლები ქალაქიდან ევაკუირებულნი არიან, მე კი მათი მესანგრე ვარ...

* * *

– ჰოლმს, გაიგეთ ახალი ამბავი? ერთ რუს ბალერინას უთქვამს, ჩემს ყოფილ ქმართან მეგობრული სექსი მაქვსო. ნეტავ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს?

– ეს ხომ ელემენტარული რამეა, ვატსონ: განქორწინებამდე მათ, ალბათ, მტრული სექსი ჰქონდათ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24